# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.



ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 232 (6089)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## თუ საქართველომ ნატოსგან უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები არ მიიღო... დავილუპებით? ③





④ ხედვა შორიდან

## რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება...

## წინ მძიმე ზამთარი და „მსუბუქი“ ⑥-⑦ ფასები გველოდება



მორიგი სამთავრობო „კორიანტელი“ და დიპლომატია ⑥

## „თქვენ კი, სულერთია, სად, როგორ დასხდებით, მუსიკოსები მაინც ვერ გახდებით“...

## ხელისუფლება გაზაფხულზე ② უნდა წავიდეს!

## ცხოვრება სააკაშვილის შემდეგ ⑧



## პატარკაციშვილის ოჯახი ქონების ② დათმობას არ აპირებს

## ზვიადისტების აქციის ფონზე გახსნილი კინო- ⑨ ფესტივალი



## პატრული კი ამაყად ⑪ დასრიალებს!

## დროის მოთხოვნა



**„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ, საგანგებო პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანას ჰყავს უპასუხისმგებლო და არაადეკვატური ხელისუფლება.**

# ხელისუფლება გაზაფხულზე უნდა წავიდეს!

ნინო ბურჯანაძემ სპონტანური და არაადეკვატური უწოდა საკადრო ცვლილებებს, რომ ხელისუფლებამ ჰელსინკში, მოლაპარაკებათა შუა პროცესში ელჩებისა და მინისტრების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილებამ ჰელსინკში ყველა აღაშფოთა და გააკვირვა. **„არ დარჩა არც ერთი დელეგაცია ჰელსინკში, რომელიც არ ლაპარაკობდა იმაზე, რომ ჩვენ უკვე ქვეყანას აღარ ვგავართ და ბანანის რესპუბლიკად ვიქეცით, იმ განსხვავებით, რომ ქვეყანას ამ ხელისუფლების ხელში არანაირი პერსპექტივა აღარ ექნება“,** – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ამ ქმედებამ რუსეთის წისქვილზე მიუშვა წყალი. რუსეთის დელეგაციამ ხელიდან არ გაუშვა შანსი და ნიშნის მოგებით მიმართა ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებს, რა აზრი აქვს იმ დელეგაციასთან შეხვედრას, რომელიც ყოველ 5 წუთში იცვლებაო.

**„ამ ტიპის გადაწყვეტილებებს სერიოზული ქვეყანა, სერიოზული ხალხი დიდხანს ნამდვილად არ უნდა ითმენდეს“,** – დაასკვნა ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ფიქრობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლებაზე მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური გზებით ხორციელდებოდეს ზემოქმედება, რათა უსწრაფესად მივაღწიოთ ხელისუფლების მხრიდან დათმობებს მედიის გათავისუფლებასთან, კონკრეტულ საარჩევნო კოდექსთან და საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით. დემოკრატიული გარემოს გარეშე იდეალური კანონიც კი არ იმუშავებს. ამ პროცესების მიღწევის შემდეგ, – ერთმნიშვნელოვნად განაცხადა ბურჯანაძემ, – გაზაფხულზე ხელისუფლება უნდა წავიდეს.

**„ჩვენ ვართ ჭაობში და ყოველი დღე, რომელიც ამ ცვლილებებს გვაშორებს, კიდევ უფრო ღრმად ჩაფლავს ქვეყანას ამ წუმპეში. ამოსვლას კი დღეს თუ წლები სჭირდება, ხვალ რამდენიმე ათეული წელი დასჭირდება. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ“.**

ბურჯანაძე ფიქრობს, რომ ოპოზიციურმა სპექტრმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელი არჩევნები გამართოს – საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. **„ხელისუფლების შეცვლა ქვეყანას ყველა დონეზე სჭირდება. აბსოლუტურად აუცილებელია და ყველაზე მეტ პრეტენზიებს არა მხოლოდ პირადად მე, არამედ ქვეყნის შიგნით და გარეთ, სწორედ პრეზიდენტის და მისი მოქმედების მიმართ გამოხატავენ“.**

ამ ეტაპზე, ნინო ბურჯანაძეს მიზანშეუწონლად მიაჩნია კონკურენტებზე და პირად რეიტინგზე საუბარი, რადგან მთავარი ამოცანაა ზემოხსენებული პრიორიტეტები – მედიის გახსნა, არჩევნების თარიღის დანიშვნა, საარჩევნო კოდექსის და საარჩევნო გარემოს შეცვლა. მას არც წინასაარჩევნო ოპოზიციის გაერთიანება მოსწონს, რადგან ასეთი ტიპის გაერთიანებები, წესისამებრ, სერიოზული დადებითი ცვლილებებით არ სრულდება და მოსახლეობის უნდობლობას იწვევს. მაგრამ კოორდინირებული ქმედება კი აბსოლუტურად აუცილებელია.

ნინო ბურჯანაძე მიესალმება ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებას თანამდებობის დატოვების და პოლიტიკაში მოსვლის გამო. „მივესალმები და ვფიქრობ, რომ რაც უფრო მეტი ღირსეული ახალგაზრდა მოვა პოლიტიკაში, მით უკეთესი იქნება ქართული პოლიტიკისა და ქართველი ხალხისთვის“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია

## პატრიარქი რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის და რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის შეხვედრა დაახლოებით 45 წუთს გაგრძელდა. შეხვედრა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის განსვენებული პატრიარქის სამგლოვიარო ტრაპეზის წინ შედგა.**

მისმა უწმინდესობამ შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საუბარი სასარგებლო და კეთილგანწყობილი იყო, თუმცა პატრიარქს საუბრის დეტალები არ გაუხმოვანებია.

– რუსეთის პრეზიდენტი დადებითად არის განწყობილი იმ პრობლემების მიმართ, რომელიც გვაქვს. იმედი მაქვს, შეხვედრა კეთილ შედეგს მოიტანს, – განაცხადა პატრიარქმა.

ილია მეორის მოსკოვში ვიზიტი გრძელდება. გუშინ უწმინდესმა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი მოინახულა.

## სააკაშვილი კვლავ ახალი სისხლის გადასხმაზე საუბრობს

**ევროპულ ინსტიტუტებთან უფრო მეტად დაახლოება, ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფა და შეიარაღებული ძალების სწორი გზით მშენებლობა, – ეს არის ის ამოცანები, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ახალ მთავრობას დაუსახა.**

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განახლებული მთავრობის სხდომა გახსნა.



როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, ქვეყანაში პერიოდულად ხდება მთავრობის ფუნდამენტური განახლება, ახალი სისხლის გადასხმა, ამის მიზანი კი, ის არის, რომ მთავრობამ მსოფლიო კრიზისისა და სამუშაო ადგილების შექმნის აუცილებლობის პირობებში, სხვა რამდენიმე მთავარი ამოცანის შესრულებას უნდა მიაღწიოს.

მისივე თქმით, ეს ამოცანები არის შეიარაღებული ძალების სწორი გზით მშენებლობა და გაძლიერება, ასევე, ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფა და ევროპულ ინსტიტუტებთან და სტრუქტურებთან ქვეყნის უფრო მეტი ინტეგრაცია.

ამასთანავე, პრეზიდენტმა მოუწოდა მინისტრებს, რომ ერთმანეთთან უფრო კოორდინირებული მუშაობა განახორციელონ ამ ამოცანების შესასრულებლად.

როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, ქვეყნის ახალ მთავრობას დღეს ძალიან საპასუხისმგებლო მომენტში უწევს მუშაობა.

პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ კოორდინირებული მუშაობით მთავრობა მიაღწევს ახალ გამოწვევებზე სერიოზული პასუხის გაცემას.



## ვაშაძე შეშინებულია, ომი ჯერ არ დასრულებულაო...

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა ახალი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე წარადგინა.**

გრიგოლ მგალობლიშვილმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ყოფილ მინისტრს ეკა ტყეშელაშვილს და სამინისტროს ყველა თანამშრომელს.

მისი თქმით, ქართული დიპლომატიური სამსახური სრულად იყო მობილიზებული ქვეყნისთვის მძიმე პერიოდში და ხშირ შემთხვევაში შეუძლებლის კეთება უხდებოდათ, რათა მსოფლიოსთვის სიმართლე მიეწოდებინა.

როგორც მგალობლიშვილმა აღნიშნა, ეკა ტყეშელაშვილს რთულ პერიოდში მოუწია მინისტრად ყოფნა და მიუხედავად ამისა, მან შეძლო დიპლომატიური სამსახურის ერთიანობის შენარჩუნება.

პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ტყეშელაშვილი სამთავრობო გუნდთან მუშაობას გააგრძელებს.

როგორც ახალმა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა და შეშინებულია ამის გამო.

მან მოუწოდა თანამშრომლებს, 24-საათიან რეჟიმში გააგრძელონ საქმიანობა, რადგან, მისივე თქმით, ომი ჯერჯერობით არ დასრულებულა.

## სუბარი შეიძლება ახალ კოალიციაში ვიხილოთ

**სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ახალ ოპოზიციურ კოალიციაში გაერთიანებას არ გამორიცხავს. სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ომბუდსმენის თანამდებობაზე მას უფლებამოსილების ვადა რამდენიმე თვეში ეწურება და საბოლოო გადაწყვეტილებას სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, სწორედ ამის შემდეგ მიიღებს. სუბარი ახალი ოპოზიციური კოალიციის შექმნას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ ეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას წაადგება.**

– მივესალმები პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურებას, რაც შეეხება ახალ კოალიციაში ჩემს გაერთიანებას, არაფერს გამოვრიცხავ. ჩემი მანდატი რამდენიმე თვეში იწურება და ბუნებრივია, ვფიქრობ სამომავლო საქმიანობაზე, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

სოზარ სუბარი სახალხო დამცველად 2004 წელს აირჩიეს და მას 5-წლიანი უფლებამოსილება 2009 წლის შემოდგომაზე ეწურება.

**ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესნიუსი**



## სამართალი ქართულად!..

# პატარკაციშვილის ოჯახი



**10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის დღეა. სწორედ ამ თარიღს დაამთხვია ბადრი პატარკაციშვილის ადვოკატმა ლორდ გოლდსმითმა „არკადიაში“ დაგეგმილი ბრიფინგი. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ქართულ საზოგადოებას იმისათვის, რომ კვლავ დიდია ინტერესი პატარკაციშვილის ქონების დავასთან დაკავშირებით.** მან ინა გუდავაძისა და მისი ოჯახის ქმედებებს **ბრძოლა სამართლიანობისთვის** უწოდა. პრესკონფერენციაზე ადვოკატის გვერდით იყვნენ პატარკაციშვილის დედა და დები.

**ხშირად მეკითხებიან, რა როლი ითამაშა მთავრობამ ტელეიმედის წართმევაში, იყო თუ არა ეს მხოლოდ ჯოზეფ ქეის გადაწყვეტილება?** – თქვა ადვოკატმა, – **მინდა დღეს მოისმინოთ ყველაფერი უშუალოდ მოწმისგან, რომელმაც ზუსტად იცის, რა მოხდა „ი-მედიასთან“ და მთაწმინდის პარკთან დაკავშირებით.**

ეს მოწმე აღმოჩნდა **გიორგი ჯაოშვილი,** პატარკაციშვილის ნდობით აღჭურვილი პირი, „ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპის“ 70 პროცენტის უკვე ყოფილი მფლობელი. ეს ფირმა თავის მხრივ „ი-მედიას“ 60 პროცენტის, ანუ საკონტროლო პაკეტის მფლობელია. სწორედ მისგან შეიძინა ჯოზეფ ქეიმ ტელე და რადიოიმედის წილი.

ჯაოშვილის აღიარებაზე უკვე წერდა ჩვენი გაზეთი წერილში – „კრიზისის აპოგეა“, რომელიც სახალხო დამცველის 2008 წლის ანგარიშის საფუძველზე მომზადდა.

ჯაოშვილმა ამჯერად აირჩია საზოგადოებას საჯაროდ, პირადად მისგან მოესმინა ის ჩვენება, რომელიც უკვე გააგზავნა ინა გუდავაძემ ნიუ-იორკის სასამართლოში.

გიორგი ჯაოშვილის თქმით, პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთ თვეში ის შეხვდა ჯოზეფ ქეის და მათ გარდაცვლილის ქონების პრობლემებთან დაკავშირებით ისაუბრეს. ქეიმ თქვა, რომ ის ამ საქმეების მოსაგვარებლად იყო ჩამოსული. მეორე დღეს, 19 თებერვალს, შეხვედრა ისევ შედგა, სადაც ქეიმ ჯაოშვილს მოკლე ინგლისური ტექსტი უჩვენა, ეს იყო ნოტარიუსის დამოწმებული მინდობილობის ასლი, რომლის საფუძველზეც პატარკაციშვილმა ქონების განკარგვის უფლება ჯოზეფ ქეის მიანიჭა. ამის მერე ქეიმ ჯაოშვილს „ჯეი ემ ჯი“-ს წილი მოსთხოვა და ასევე უთხრა, რომ ინა გუდავაძესთან შეთანხმებით მოქმედებდა.

ჯაოშვილს ეჭვი პირველად მაშინ შეეპარა, როცა მარჯანიშვილის ქუჩაზე ნოტარიუსს მიადგნენ. **იქ შექმნილი სიტუაცია სანოტარო დაწესებულებას არ ჰგავდა,** – ამბობს მოწმე, – **ეზოში იდგნენ დაცვის თანამშრომლები, ხოლო შიგნით შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.** ჯაოშვილმა სხვადასხვა მიზეზით სცადა ხელი არ მოეწერა დოკუმენტისთვის, თუმცა ზეწოლის შედეგად აქციები მაინც გაყიდა.

**იმ ღამესვე ვთხოვე ქეის შეხვედრა – მითხრა აეროპორტში ვარო. აეროპორტში მოვდივარ-მეთქი ვუთხარი და იმ წამსვე წავედი,** – აღიარა ჯაოშვილმა, – **რუსთაველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გამაჩერეს და ფინანსურ პოლიციაში წამიყვანეს. გზაში ჩემზე ფიზიკური ძალადობაც განახორციელეს. ფინანსთა პოლიციაში ჩემზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებები გამოიყენეს და დილის 5-6 საათისათვის იძულებული გავხდი, „ჯეი ემ ჯისა“ და „ი-მედიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა დამეტოვებინა.**

◎ თვალსაზრისი

***რუსმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა „ნოვაია გაზეტას“ 8 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „კავკასიური კვანძი: კი არ გაწყვიტო, არამედ დახვრიტო“, გამოთქვა მოსაზრება, რომ რუსეთისათვის 2008 წლის აგვისტოში მიღწეული მონაპოვრის შენარჩუნების ერთადერთ საშუალება, კვლავ საქართველოსთან ომია. ამ თემაზე „ინტერპრესნიუსი“ სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტის ექსპერტს ანდრო ბარნოვს ესაუბრა.***



# ანდრო ბარნოვი: თუ საქართველომ ნატოსგან უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები არ მიიღო, თბილისი საგარეო პოლიტიკურ კურსს ძველებურად ვერ გააგრძელებს

**— ბატონო ანდრო, რამდენად რეალურია ფელგენგაუერის შეფასებები და ახალი ომის დაწყების შესაძლებლობა?**

— რუსეთისთვის ომი ერთადერთი გამოსავალი არ არის, რადგან ეს იქნებოდა აღიარება იმისა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქმედების მიზანი, საქართველოს გაკონტროლება იყო. ფელგენგაუერის მოსაზრება რეალიც ევროპას რუსეთზე დამოკიდებულების საკითხში სხვა გზას არ უტოვებს. რუსეთი ევროპას იძულებულს ხდის აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობა მაქსიმალურად შეამციროს. რესურსებზე კონტროლის მოპოვების გარდა რუსეთს ასევე სურს ევრაზიიდან აშშ-ს განდევნა, ამიტომ ნატოს კავკასიაში შემოსვლას რუსეთი პირდაპირ საფრთხედ განიხილავს. რუსეთმა იცის, რომ ნატო ისეთი მიზიდულობასთან იმის გამოა ახლოს, თუ ვიმსჯელებთ თემაზე, რა მოიპოვა რუსეთმა ომით და რამდენად საკმარისია მონაპოვარი მისი მიზნებისთვის და სჭირდება თუ არა მას მონაპოვრის შესანარჩუნებლად კიდევ სხვა რამ.

თუ დავუკვირდებით, რუსეთს რეალურად არაფერი მოუპოვებია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შავი ზღვის ფლოტისთვის შეზღუდული შესაძლებლობების, მაგრამ მაინც ალტერნატიული პორტის შესაძლებლობა გაუჩნდა ოჩამჩირეში. სტრატეგიული თვალსაზრისით, რეალურად რუსეთმა თბილისს შეუქმნა მეტი მუქარა — ახალგორში დაგვიყენა ჯარი და როცა უნდა მომავალში ისე მოიქცევა და მეტი არაფერი. აშკარაა, რომ ომის შედეგი რუსეთის ძირითად ინტერესს არ აკმაყოფილებს.

რამდენიმე წლის წინათ ვწერდი, რომ თუ იმ ფორმით გაგრძელდებოდა ჩვენი ნატოში ინტეგრაცია, რა ფორმითაც ეს პროცესი მიმდინარეობდა, მივიღებდით ომს. რატომღაც ამაზე არავინ საუბრობს. აბსოლუტურად ცხადი ლოგიკაა: რუსეთს ხელს უშლის ნატოს პერსპექტივა კავკასიაში. რუსეთის მიზანი, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ენერგორესურსებზე სრული კონტროლის მოპოვებაა. ეს არის ის სტრატეგიული განლაგება, რომების ცენტრი გახდება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისთვის, რომ რუსეთი თავის პრობლემებს ვერასოდეს დაამთავრებს. დიდი შანსია, რაღაც დროის შემდეგ, კასპიის ზღვაზე კონტროლის დამყარების ნაცვლად, რუსეთის კავკასიიდან განდევნა მოხდეს. ასეთი დამოკიდებულება ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ არის — მოსკოვში ასე ფიქრობენ.

რა რეალობა მივიღეთ: რუსეთმა კი დაიკავა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, მაგრამ ამით ვერ შეძლო ნატოს შეჩერება. კი, დროებით შეაჩერა , იმ აზრით, რომ MAP არ მოგვცეს, გვითხრეს, რომ კიდევ დიდი ხანი მოგვიწევს ლოდინი, სანამ ამას მივიღებთ, მაგრამ ეს არ არის საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტია. შეიძლება ისე გადანაწილდეს გავლენები, რომ რუსეთმა თქვას - კარგი, მიიღეთ საქართველო ნატოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე. აშშ ამას მხარს ბოლომდე არ დაუჭერს. შეიძლება შევიდეთ ნატოში, ამის გამორიცხვა რუსეთს არ შეუძლია. შეიძლება ყველაფერი მოხდეს, შეიძლება გვაიძულონ აფხაზეთის აღიარებაცდა ამით ყველაფერი დამთავრდება. როცა დემოკრატიული ინსტიტუტები არ არის, ხელისუფლება პოპულარული არ არის და ყველაფერი გარიგებამდე დადის, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

**— ანუ, ის რასაც ფელგენგაუერი ამბობს, გამორიცხული არ არის, ვინაიდან კავკასიაზე კონტროლის ამა თუ იმ ფორმით აღდგენა რუსეთის ინტერესებშია?**

— რუსეთმა აგვისტოს მოვლენებით რეალურ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ დრო მოიგო. საქართველოსთვის MAP-ის მიცემა იქნებოდა აბსოლუტურად რეალისტური, რომ არა ის პროცესები, რაც აგვისტოში ვნახეთ. ჩვენ ვერ მოვასწარით პატარა ნაპრალიდან გაღწევა და გამოცდა ვერ ჩავაბარეთ. ეს დიდწილად ჩვენივე ბრალია, მაგრამ სხვა ფაქტორების გამო მარტო ჩვენი ბრალი არ არის.

მიმაჩნია, რომ ომი არ არის რუსეთისთვის ერთადერთი გამოსავალი მოპოვებულის შესანარჩუნებლად. ახლა მთავარია რა ტიპის იქნება რუსეთის მოქმედება. რას შეიძლება ველოდოთ რუსეთისაგან, შეიძლება იყოს ეს ომი? სჭირდება ეს რუსეთს?!

იმისთვის, რომ რუსეთმა კავკასიური დერეფნის იდეა მოკლას, მას სულაც არ სჭირდება საქართველოს მოკვლა. მისთვის კარგია, თუ საქართველოს მთლიანად დაეუფლება და თავის კონტროლს დაამყარებს, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი და აუცილებელი გზა რუსეთისათვის. დაუსრულებელი ქაოსი და ახალ-ახალი ეთნოკონფლიქტები მისთვის მშვენიერი იარაღი იქნებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, სად გადის არსებული მილსადენი და რა სიტუაციაა სამცხე-ჯავახეთში, არაფრის გამორიცხვა შეიძლება. ამიტომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ მოვლენათა განვითარების ყველა შესაძლო ვარიანტზე.

**— თქვენი აზრით, რუსეთი საქართველოზე პირდაპირ აგრესიაზე უარს იტყვის და ეთნოკონფლიქტების გაღვივების გზას დაადგება?**

— რა თქმა უნდა! ერთ რამეს მივაქციოთ ყურადღება: 2006 წელს, როცა რუსეთის ბაზების გაყვანა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, რუსული და სომხური მედია გააქტიურდა. 2002 წელს რუსულ-სომხურ მედიაში სამცხე-ჯავახეთზე მხოლოდ 70 მასალა გამოქვეყნდა, 2006 წელს 400-ზე მეტი მასალა იყო. იქ საკმაოდ დაძაბული იყო სიტუაცია, მაგრამ არ მოხდა ვითარების საბოლოო ესკალაცია. ამისათვის თავად რუსეთი არ იყო მზად, მაგრამ კონფლიქტის საფუძვლები არ შეცვლილა. მართალია იქ დღეს ქართული ადმინისტრაცია ფუნქციონირებს, ჯარი და პოლიციაა, კონტროლი მეტია, მაგრამ ეს არასაკმარისი აღმოჩნდება არეულობის პრევენციისთვის.

**— ეუთოს ჰელსინკის მინისტერიალმა, რომელმაც ევროპული უსაფრთხოების საკითხებზე პრეზიდენტ მედვედევის წინადადებები განიხილა, ცხადყო, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკამ სრული ფიასკო განიცადა. ამას რუსები თავად არ მალავენ. რამდენად სავარაუდოა, რომ ეკონომიკური კრიზისისა და საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვანი წარუმატებლობის ფონზე რუსეთმა შეცვალოს თავის საგარეო პოლიტიკა და შესაბამისად შეიცვალოს მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი, რომელიც ევროპული ინტეგრაციისაკან მიისწრაფვის?**

— მე უფრო ცუდი მოლოდინები მაქვს. თავის სატელევიზიო გამოსვლაში პუტინმა საქართველოს მიმართ საკმაოდ მკაცრი შეფასებები გააკეთა. სამწუხაროდ, რუსეთში ამგვარი განწყობის ბევრი სხვა მაგალითებიც გვაქვს. რუსეთში ეკონომიკური კრიზისია, მაგრამ პუტინმა განაცხადა, რომ კრიზისი ენერგოპროექტებს არ შეეხება. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი მიზნებს არ ცვლის. ის, რაც საქართველოში ხდება, სწორედ ენერგომატარებლებზე კონტროლის მოპოვებას უკავშირდება.

რუსეთს გაცნობიერებული აქვს, რომ მისი კრიზისიდან გამოსვლის გზა ევროპის მიერ მოხმარებულ ენერგომატარებლების კონტროლზე გადის. რუსეთის ეკონომიკა სუსტია, ფულის კონვერტირებულობა — დაბალი. დოლარს მთელი მსოფლიო მოიხმარს. თუ ვითარება შედარებით დაწყნარდა, აშშ-ს გაუჩნდება ბერკეტები თავისი ეკონომიკის განვითარებისათვის. რუსეთისათვის გამოსავალი ნავთობზე ფასის აწევაა. ენერგომატარებლებს რუსეთის გრძელვადიანი გეგმები უკავშირდება. ამიტომ რუსეთის პოლიტიკა სულ იმაზე იქნება ორიენტირებული, რომ მათთვის ხელსაყრელი ვითარება შექმნან ენერგომატარებლებზე კონტროლის თვალსაზრისით. ამ საკითხში კავკასიას სრულიად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

**— ყარაბაღის საკითხში ბაქოსა და ერევანს შორის კომპრომისის მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია და არც ევროპას აძლევს ხელს „ნაბუკოს“ პროექტის იმ პირობებში რეალიზაცია, თუ ბაქოსა და ერევანს ისევ რუსეთი გააკონტროლებს...**

— არსებულ ვითარებაში „ნაბუკოს“ პროექტში საქართველოს სომხეთით ჩანაცვლება პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ საჭიროა საქართველოს ჰქონდეს უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, რომელსაც მე ვერ ვხედავ. ამის გარანტია ვერ იქნება მხოლოდ იმის ძახილი, რომ ჩვენ აუცილებლად შევალთ ნატოში. პირიქით, ეს საქართველოსთვის საფრთხის შემცველია. საჭიროა ორმხრივი კონტაქტების გაძლიერება ევროკავშირის ტრადიციულ პარტნიორებთან, აშშ-სთან, საჭიროა აქცენტების გადატანა რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ანუ თურქეთთან, და არა მარტო თურქეთთან, მეტ ურთიერთობაზე.

**— მიგაჩნიათ, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ნატოსგან უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები სჭირდება. კი მივიღეთ ნატოს ყოველწლიური სამოქმედო პროგრამა, მაგრამ ეს ქვეყნის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს?**

— მთელი უბედურება ისაა, რომ ეს კითხვა არ ისმება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყველაფერი რიგზეა და ეს საჭირო არ არის. მე ვერანაირ გარანტიებს ვერ ვხედავ. რასაც ვხედავ ის არის, რომ ამერიკული გემები პერიოდულად მოდიან და მიდიან. არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც ხდება, მაგრამ მე არ ვიცი, რა...

თუ საქართველომ ნატოსგან რაიმე ფორმით უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები არ მიიღო, თბილისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს ძველებურად ვერ გააგრძელებს, თუ გააგრძელებს — დაიღუპება. ამიტომ, ჩვენ ან უნდა მოვახერხოთ უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების მოპოვება, ან უნდა მივხვდეთ, რომ იძულებული ვართ გადავხედოთ რაღაც-რაღაცეებს. ეს არ არის ანდრო ბარნოვის აზრი, ეს უბრალო არითმეტიკისა და დათვლის ამბავია. დამოუკიდებელი ექსპერტები კერძო საუბრებში მეთანხმებიან, მაგრამ რატომღაც ხმამაღლა საუბარს გაურბიან და დუმილს ამჯობინებენ.

**კობა ბენდელიანი**

◎ სამართალი ქართულად!..

# ქონების დათმობას არ აპირებს

გიორგი ჯაოშვილი მთაწმინდის პარკთან დაკავშირებითაც თბილისის მერიის სამსახურს ადანაშაულებს, რომელმაც სრულიად უსამართლოდ გააუქმა 49-წლიანი იჯარა, ფირმა „ლინქსსა“ და მერიას შორის. მერიამ გაახმიანა, თითქოს „ლინქსი“ საიჯარო ქირას არ იხდიდა. ამის გამო პატარკაციშვილის ოჯახმა უჩივლა მერიას, როგორც სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში, ისე სახალხო დამცველთან. ამა წლის 8 სექტემბერს, ჯაოშვილს მოსთხოვეს, მერიაში მორიგების აქტისთვის მოეწერა ხელი და გაეუქმებინა ყველა ბრალდება და ფინანსური მოთხოვნები. როცა მან უარი თქვა, მაშინ მთაწმინდის პარკის დირექტორობიდან წასვლა მოსთხოვეს. ინა გუდავაძესთან შეთანხმების შემდეგ ჯაოშვილი დირექტორობიდან გადადგა. 10 სექტემბერს „ლინქსის“ ახალი დირექტორი დანიშნეს, რომელმაც იმ დღესვე მოითხოვა საჩივრების გამოტანა და ის იმავე დღეს დააკმაყოფილეს.

ჯაოშვილმა ჟურნალისტების დამატებით შეკითხვებს არ უპასუხა, ხოლო ლორდ გოლდსმიტმა განაცხადა, რომ მას ამის უფლება ჰქონდა.

პატარკაციშვილის ოჯახი ამჯერად აპირებს საერთაშორისო სასამართლოში უჩივლოს საქართველოს მთავრობას „ი-მედიასა“ და მთაწმინდის პარკის აქციების ექსპროპიაციის შესახებ.

ბრიფინგს ესწრებოდნენ „ახალი მემარჯვენეებისა“ და „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლები. კომენტარი ცნობილ იურისტს **თინა ხიდაშელს** ვთხოვეთ: **კარგი ის არის, რომ მოწმემ თავად ამჟობინა ამაზე ხმამაღლა საუბარი, თორემ ეს ჩვენ ისედაც ვიცოდით,** — განაცხადა მან, **— ჩემთვის, როგორც იურისტისთვის მნიშვნელოვანია მინდობილობის დოკუმენტი, რომელიც გუდავაძემ დაამტკიცა ექსპერტების ჩართვით, რომ ყალბია. საქართველოში კი არც ერთ სასამართლოს არ მოუთხოვია ამ დოკუმენტის ორიგინალი, როცა საქმე ეხება ასეთი მნიშვნელოვანი ქონების გადაცემას. ჩემთვის ასევე საინტერესოა ის ადამიანები, რომლებიც ჯოზეფ ქეის წარმოადგენენ. ის ნოტარიუსი, რომელზეც ჯაოშვილი საუბრობდა, ცნობილია რომ ორჯერ არის ამერიკაში გასამართლებული და დამნაშავედ ცნობილი სწორედ დოკუმენტების გაყალბებისთვის. მან ერთ-ერთი დოკუმენტი იქვე სხდომათა დარბაზში გააყალბა. ეს არ არის მოგონილი ამბავი, ამის შესახებ თავისუფლად შეიძლება მოიპოვოთ ინფორმაცია ინტერნეტში.**

**რაც შეეხება საერთაშორისო სასამართლოს, სანამ სააკაშვილი ხელისუფლებაშია, შედეგი არ იქნება. ასევე იცით, რომ პროცესი დროში იწელება, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, სააკაშვილი მანამდე მოშორდება ხელისუფლებას, ვიდრე ეს საქმე სასამართლოს სხდომამდე მივა.**

**თეა მოსია.**



ხედვა შორიდან

***როდესაც ე. წ. „ეროვნული მოძრაობის„ ლიდერებმა ქართველი ინტელიგენციის ჭეშმარიტებას „სამშობლოს" არგუმენტი დაუპირისპირეს, მერაბ მამარდაშვილმა თქვა: „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო". ეს გამონათქვამი დღემდე იწვევს მავანთა მხრივ დავას, უფრო სწორად, უდავო გაკიცხვას, რადგან ჭეშმარიტების უზენაესობა, იმათი აზრით, აკნინებს სამშობლოს ცნებას. ჰეგელი ჭეშმარიტებას ღმერთთან აიგივებს: „ჭეშმარიტება ღმერთია და ღმერთია მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტება". მაგრამ ქართველი ადამიანისათვის, ჩანს, ღმერთის ცნებაც აზრს ჰკარგავს უსამშობლოოდ. სამშობლო ისეთი ცნებაა, რომ თვით ღმერთით ვერ გამორიცხავ მას. ღმერთიც იმისათვის უნდა ქართველს, რომ სამშობლოზე ილოცოს: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! — ძილშიაც ამას ვდუდუნებ„ (ვაჟა). და განა მარტო ქართველს, ძველი ბერძენი ლუკიანე სამოსატელიც თურმე სამშობლოზე მაღლა ვერაფერს მოიაზრებდა: „არცრა სიტყვაა უფრორე ახლობელი და ძვირფასი, ვინემ სიტყვა „მამულია" („ქებათა ქება სამშობლოს", თარგმანი გურამ გოგიაშვილისა). მაშ, რა რჯიდა ფილოსოფოსს, რომ სამშობლო ჭეშმარიტებისადმი დაექვემდებარებინა?***

სამშობლო და ჭეშმარიტება

# რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული



საქმე ის არის, რომ სამშობლო არ არსებობს უჭეშმარიტებოდ. იგი, როგორც აწმყოც და როგორც მომავალიც, მის შვილთა ჭეშმარიტი მოღვაწეობის შედეგია: როგორც აწმყო — წინაპართა მოღვაწეობის შედეგი, როგორც მომავალი — დღევანდელთა მოღვაწეობის შედეგი. მაგრამ თუ მოღვაწეობა ჭეშმარიტი არ იქნა, არც აწმყო იარსებებს, არც მომავალი.

დღევანდელი საქართველო ჩვენს მამა-პაპათა ჭეშმარიტი მოღვაწეობის შედეგია. მათი დამსახურებაა, რომ ისტორიის ქარტეხილებს გადაარჩინეს და ჩვენამდე მოიტანეს იგი. გზადაგზა რალაცები, ცხადია, იმათაც ეშლებოდათ, შეუცდომელი ვინ არის, მაგრამ იმათ მოქმედებაში რომ ჭეშმარიტების ნატამალი არ ყოფილიყო, დაახლოებით ისე, როგორც დღევანდელთა მოქმედებაში, დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ დღეს ჩვენი სამშობლო აღარ იარსებებდა. იგი ისეთია, როგორი ჭეშმარიტებითაც ილვაწეს და ისეთი იქნება, როგორი ჭეშმარიტებითაც ვიღვაწებთ. ხოლო თუ ისე გულმოდგინედ უგულებელვყოფთ ჭეშმარიტებას, როგორც ბოლო 20 წლის განმავლობაში უგულებელვყოფდით, იგი საერთოდ შეწყვეტს არსებობას და ისტორიის საკუთრება გახდება.

ჭეშმარიტების 20-წლიანი უგულებელყოფის თვალსაჩინო ნიმუშია, მაგალითად, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, რომელსაც ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვალერიან ადვაძე უკვე მომხდარ კატასტროფას უწოდებს: „ქვეყანა კატასტროფის წინაშეაო, წერენ. კატასტროფა უკვე მოხდა! კიდევ რა უბედურება უნდა დაგვემართოს, რომ ბოლოს და ბოლოს მივხვდეთ: ის გზა, რომლითაც ჩვენ უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში მოვდივართ, არ არის ჭეშმარიტების გზა. ხოლო ერი, რომელიც არ მიდის ჭეშმარიტების გზით, ის ვერც ტაძართან მივა და მალე სამშობლოც აღარ ექნება. ამიტომ ბრძანა მეოცე საუკუნის დიდმა ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა: ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლააო" („საქართველოს რესპუბლიკა" 26.11.2008).

ერთადერთი, რაშიც ვერ დავეთანხმებით ცამდე მართალ ავტორს, ეს ჭეშმარიტების უგულებელყოფით სიარულის ხანგრძლივობაა: რატომ 17 წელი? 1989 წლის 9 აპრილის აქეთ, როცა ბ-ნმა მერაბმა ხსენებული ფრაზა წარმოთქვა, უკვე 19 წელზე მეტია, ხოლო 1988 წლის ოქტომბერ-ნოემბერს აქეთ, როცა დალაგებული რესპუბლიკა იმ მონასტერივით აირია, სადაც ძაღლი პატრონს ველარა ცნობს, — კაი 20 წელი! ბოლო (ღმერთმა დაგვიფაროს უკანასკნელისაგან!) 17 წლით რომ შემოვიფარგლოთ, ხელში შეგვრჩება ედუარდ შევარდნაძე და ვერ ჩავწვდებით იმ ავადმყოფობის მიზეზს, რომელზეც სამართლიანად ლაპარაკობს ბ-ნი ვალერიანი, „კამეჩის მორქენალი ხარის" სინდრომი და „მოსახლეობის გამოტვინება" რომ ეწოდება და ხელს გვიშლის ჭეშმარიტების გზით სიარულში.

ბ-ნ ედუარდს ყველაფერი რომ დავაბრალოთ, „კამეჩის რქენას" და „მოსახლეობის გამოტვინებას" ვერ დავაბრალებთ. „თეთრი მელა" თავისთავად გამორიცხავს „კამეჩის რქენას", „მოსახლეობის გამოტვინება" კი მას არაფერში დასჭირვებია: იგი, კიტოვან-იოსელიანის რაზმების დახმარებით, გამოუტვინებლად აყაჩაღებდა და ძარცვავდა ხალხს. რუსეთის რქენა (ლანძღვა-გინება) და ხალხის „პატრიოტიზმით" გაბრიყვება მანამდე დაიწყო, მის მიერვე ქვეყანაში ხანძრის გასაჩენად გაშვებული „კუდზე ცეცხლწაკიდებული მელიების" საშუალებით, რომელთა „კუდებში იყო მისი ხელმწიფება". სახელდობრ, ჯერ 1988 წლის ოქტომბერ-ნოემბრის „წარუმატებელი" ღონისძიებით, ხოლო შემდეგ 1989 წლის 9 აპრილის „წარმატებული" სისხლისღვრით, როდესაც ერთ-ერთმა „ცეცხლწაკიდებულმა კუდმა" მიკროფონი ხელიდან გამოსტაცა პატრიარქს, რომ წინა წლის ოქტომბერ-ნოემბერივით მშვიდობიანად არ „ჩაშლილიყო" აქცია.

საქმე ეხებოდა პატიაშვილისათვის ხელისუფლების გადაჯოკვრას და არა კავშირიდან გამოყოფას, რადგან გამოყოფის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, რაც ყველაზე უკეთ მისმა თანაშემოქმედმა იცოდა. პოლიტბიუროს მორიგების თანახმად, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში პრეზიდენტებად პირველი მდივნები უნდა გამხდარიყვნენ, რაც ყველგან, თვით ლიტვაში, ასეც მოხდა, საქართველოს გარდა, სადაც საპრეზიდენტოდ თვითონ შემართულ შევარდნაძეს პრეზიდენტობა პატიაშვილისათვის არ ეთმობოდა. ინტრიგებით, ჩანს, ვერაფერს გახდა უმწიკვლო ჯუმბერის წინააღმდეგ, კრემლში მასზე გაიძვერა ინტრიგანები ისხდნენ, და გადაწყვიტა, რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან შეთქმულებით, სხვისი ხელით მოეგლიჯა ნარი და ძირი გამოეთხარა პირველი მდივნისათვის. მავრებს იგი სერიოზულად არ განიხილავდა და საქმის შესრულების შემდეგ იმას გაუკეთებდა, რაც გაუკეთა. საბჭოთა უზრუნველი ცხოვრებით დაღლილ მოსახლეობას (უზრუნველმა ცხოვრებამაც დაღლა იცის) მავრების ნაციონალისტური რიტორიკა, ქვეყნის ასარევად რომ იყო გამიზნული, ნანინანატრ პატრიოტიზმად მოეჩვენათ და აირია მონასტერი.

აი, ასეთი ვაი-პატრიოტიზმისაგან გვაფრთხილებდა დიდი ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში": „მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავოდ, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, — პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლადა ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურობასაც ვერა ვხედავთ".

პასუხისმგებელნი, უპირველესად ხელისუფალნი არიან, ვისაც ხელთ უპყრიათ მართვის სადავეები. მაგრამ არც ხალხი გაუთავისუფლებია ვინმეს აზროვნებისა და პასუხისმგებლობისაგან. სანამ დავიყვირებთ „მიშა, მიშა„ ან „ზვიადი, ზვიადი", ჯერ უნდა გავიაზროთ, ჭეშმარიტია თუ არა მათი მოქმედება! შევარდნაძის შემთხვევაში ხალხს ვერ დავადანაშაულებთ, მას არ უყვირია „ედუარდი, ედუარდი". თუმცა ვილაც-ვილაცებმა მის წინაშეც დაიჩოქეს. ბ-ნმა ზვიადმა კი „ზვიადი საქართველოა" აძახებინა ხალხს. ბ-ნი ზვიადი მიშაზე მაგარი იყო: „მიშა მაგარმა" ვერ აძახებინა ხალხს „მიშა საქართველოაო", თუმცა აგვისტოს კატასტროფა ისევე მოაჩვენა ხალხს „გამარჯვებად", როგორც ბ-ნმა ზვიადმა 9 აპრილის ტრაგედია. ერთ „სიმაგრეს" კი ვერც მიშას დაუკარგავ: ხალხს მთელი სამი წელი დასჭირდა, სანამ 2007 წლის 7 ნოემბერს „წადი, წადის„ უძახებდა და „მაგარ" პასუხს მიიღებდა. ბ-ნ ზვიადს ხალხმა (მართალია, ნაწილმა, მაგრამ მნიშვნელოვანმა ნაწილმა) უკვე ექვსი თვის შემდეგ უძახა „ჩაუშესკუ, ჩაუშესკუ" და ისე წავიდა, რომ არ „დაარბია" ხალხი (ვილაც-ვილაცები ვითომ დაარბია, მაგრამ ისინი მართლა დასარბევები იყვნენ). სამაგიეროდ, შევარდნაძე-იოსელიან-კიტოვანმა არბიეს იგი მთელი ათი წელი იმით, რომ ცივილიზებულად არ გადადგა და არ დანიშნა ახალი არჩევნები, რითაც თავიც დაიღუპა. მერე რა, რომ 90-მა პროცენტმა აგირჩია, ხომ ხედავ, ხალხი უკვე „წადი, წადის" გეძახის, გადადექი რა! წასვლას გადადგომა არა სჯობია?! მაგრამ, ეტყობა, ადვილი არ არის ტახტზე აცოცებულის „მიშამაგარიას" ისევ ქუჩაში გაბუნძულება. რატომ ქუჩაში, პარლამენტში ოპოზიციონერადო. მაგრამ ტახტის შემდეგ პარლამენტარის სავარძელი ქუჩად ეჩვენებათ. თუ პირველები არ იქნენ, ავად გახდებიან!

პრეზიდენტები პრეზიდენტებად, მაგრამ აქ ხალხის ავადმყოფობაზეა საუბარი. პრეზიდენტები მოვლენ და წავლენ, ხალხს კი არსადა აქვს წასასვლელი. გასაგებია, რომ ყველა მამარდაშვილი ვერ იქნება, რომ წინასწარ განჭვრიტოს კატასტროფა, მაგრამ შედეგით ხომ მაინც უნდა შეგვეძლოს, აზროვნება თუ არა, დანახვა იმ კატასტროფისა, რომელშიც, ჩვენი თანამონაწილეობით, აღმოვჩნდით?! ამაზეა ნათქვამი, „უყურებდე და ვერ ხედავდეო". თუმცა ესეც ავადმყოფობის ბრალია: ავადმყოფობა სახლში ჭუჭრუტანიდან შევა და კარიდან ვერ გამოეტევაო.

პატრიოტიზმი უნდა გავარჩიოთ ცრუპატრიოტიზმისაგან! ამას კი ჭეშმარიტება სჭირდება!

ზემოთ ლუკიანე სამოსატელის მშვენიერი თხზულება ვახსენეთ. თარგმანის შესავალში მწერალი გურამ გოგიაშვილი მწუხარებით შენიშნავს: „...როცა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო ასეთ შავ დღეში ჩააგდეს შინაურმა და გარეულმა მტრებმა, ლუკიანეს სიტყვა დღეს მართლაც მრავლისმთქმელად გაისმის" („საქართველოს რესპუბლიკა" 30.08.2008).

მე დავამატებდი: მერაბ მამარდაშვილის სიტყვაც, ჭეშმარიტების უზენაესობის თუ უწინარესობის შესახებ, რამდენადაც ჭეშმარიტება არათუ არ ეწინააღმდეგება სამშობლოს სიყვარულს, არამედ, პირიქით, აუცილებლობით გულისხმობს მას.

ამიტომ შეგვაგონებდა დიდი ილია (ისევ და ისევ ილია!): „დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება: ისე აღზარდე შენ შვილის სული,რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული".

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე

ინფორმაცია

## ევროპა კვლავ მხარს გვიჭერს

საქართველო-ევროპის თანამშრომლობის საბჭოს სხდომაზე ევროპულმა მხარემ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს კიდევ ერთხელ დაუჭირეს მხარი.

სხდომაზე ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ევროკავშირის როლის გაზრდას, აგრეთვე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის მონიტორების შეღწევისა და უსაფრთხოების ახალი მექანიზმების ჩამოყალიბებაში ევროკავშირის აქტიური ჩართვის მნიშვნელობას.

აღინიშნა, რომ მხოლოდ უსაფრთხოების ახალი ქმედითი მექანიზმების ჩამოყალიბებისა და საქართველოს ტერიტორიების სრული დეოკუპაციის გზით იქნება შესაძლებელი სტაბილურობისა და უსაფრთხოების, ასევე იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების, ადგილობრივ საზოგადოებათა/თემთა შორის ეფექტური დიალოგის უზრუნველყოფა.

ქართულმა მხარემ ევროკავშირის მონიტორინგის მისიას სერიოზული ნაბიჯების გადადგმისაკენ მოუწოდა, კერძოდ უსაფრთხოების ახალი მექანიზმების ჩამოყალიბების მიმართულებითა და რუსული მხარის მიერ ეთნიკური წმენდის ახალი ტალღის გამოწვევის თავიდან აცილების მიზნით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სთხოვა.

ამასთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ გამოხატა ღრმა შეშფოთება ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ძალების კონცენტრირებასა და გარკვეულ რეგიონებში არსებულ მეტად საგანგაშო სიტუაციასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ლიახვის ხეობაში, ახალგორსა და გალის რაიონებში, სადაც მოსახლეობა გეტოს პირობებში ცხოვრობს.

## დანგრეულ ცხინვალს მოსკოველები აღადგენენ

მოსკოვმა ცხინვალში აღდგენითი სამუშაოებისთვის 2,5 მილიარდი რუბლი გამოყო.

როგორც „რია ნოვოსტი" იუწყება, თანხა მოსკოვის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა.

ამ თანხით მოსკოველი მშენებლები აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებულ ცხინვალში 100 ათასზე მეტ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს ააშენებენ.

მოსკოვის ინფორმაციით, აგვისტოს მოვლენების დროს ცხინვალში შენობების 80 პროცენტი და საცხოვრებელი სახლების 50 პროცენტი დაინგრა.

## მოკლულია კოკოითის დაცვის წევრი

ვრცელდება ინფორმაცია, რომ მოკლულია ოს სეპარატისტთა ლიდერის პირადი დაცვის ერთ-ერთი წევრი არსენ ძუგაევი.

გავრცელებული ინფორმაციით, ძუგაევი 8 დეკემბერს უცნობმა პირებმა გაიტაცეს, მოგვიანებით კი რუსმა ჯარისკაცებმა იგი გზისპირას ჩამომხრჩვალი იპოვეს.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

## ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

ამ მომენტში, რუსეთთან საქართველოს ურთიერთობას ჯერ კიდევ განსაზღვრავდნენ 1783 წლის ტრაქტატის საწყისები, და იმპ. პავლეს ბრძანება — არ მიუშვან მემკვიდრეები ტახტთან — საქართველოს შინაგანი დამოუკიდებლობის აშკარა დარღვევაა. ჯერ კიდევ 1800 წლის ოქტომბერში გენ. კნორრინგი გიორგი XI-სადმი წერილში იმოწმებს ტრაქტატის არტიკულებს.

ახლა იმპერატორი უკვე აღარ ელოდება „ორთავემხრით" აქტს და გასცემს განკარგულებას, დაიკავონ რუსეთის ჯარებმა საქართველო, თვითონ კი იტოვებს უფლებას, განკარგოს მისი ტახტი.

ამის შემდეგ გამოდის მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც ასევე უგულებელყოფენ ორმხრივი საიმპერატორო აქტის თეორიას.

პეტერბურგიდან საქართველოს რწმუნებულ მოციქულთა გამგზავრებისთანავე, გრაფმა როსტოპჩინმა მისწერა კნორრინგს, რომ საჭიროა, საქართველოში წინასწარ დაყარონ ხმა, მიღებულია ბრძანება, გენერალი საქართველოში წამოვიდეს ჯარებით ვითომდა მის დასაცავად. ხოლო როდესაც ელჩები პეტერბურგს დაბრუნდებიან, ამის შესახებ (სავარაუდოდ, 1801 წლის აპრილშიძ გენერალს შეუძლია, დაიკავოს ჯარებით საქართველო; იქამდე კი, დაე, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არისო (და ჩვენ მოგვენიჭა კმაყოფილება თანამონაწილეობისა უფლის და ხელმწიფისათვის ესოდენ სასურველ საქმეში. ასეთი ფრაზით მთავრდება როსტოპჩინის ეს წერილი კნორრინგისადმი. Акты, ტ.I, გვ. 181, № 124ძ.

მაგრამ 18 დეკემბერს საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილია — გონებაში და ქაღალდზე. სწორედ ამ დღეს (მაშასადამე, მაშინ, როდესაც ელჩები თბილისს არ ჩასულანძ მოეწერა ხელი მანიფესტს საქართველოს შემოერთების შესახებ, და — გაეგზავნა კნორრინგს.

სურდათ, ამ მანიფესტის გამოქვეყნების მომენტი დაემთხვიათ იმ დროისათვის, როდესაც ელჩები უკან, რუსეთში გამოემგზავრებოდნენ, ხოლო, მეფე, ბოლოს და ბოლოს, აღესრულებოდა. ვარაუდმა არ გაუმართლათ — ე. ი. მეფე გარდაიცვალა არა იმ მომენტში, როდესაც პეტერბურგის დანიშნულებისამებრ უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი გარემოებაა. ნიშანდობლივია საქართველოს შემოერთების დახასიათებისათვის, რომ მანიფესტს ხელი მოაწერეს მეორე მხარის გვერდის ავლით; და, ბოლოს, ნიშანდობლივია, რომ იმავე 18 დეკემბერს ებრძანა კნორრინგს, წარმოადგინოს საქართველოს დაწვრილებითი აღწერა — რათა „შევძლოთ, შევუდგეთ მმართველობის ჩამოყალიბებას".

მაშ ასე, ვიდრე საქართველოს უკანასკნელი მეფე სიკვდილის სარეცელზე იწვა, ხოლო მისი ელჩები „ორთავემხრითი აქტის" პროექტით მოიჩქაროდნენ ამ უკიდეგანო რუსული ტრამალით კავკასიონის მთებისაკენ — პეტერბურგში უკვე წარმოითქვა მბრძანებლური სიტყვა.

პავლე ისე ჩქარობდა საქართველოს ხელში მოგდებას, რომ შეიძლება გაუგო მოუთმენლობა, როდემდე უნდა ელოდა, სანამ ელჩები თავიანთ მარშრუტს გალევდნენ! ამიტომ, ნუ გაგვიკვირდება, რომ მისი ბრძანება კნორრინგისადმი ტახტზე არაშვების შესახებ გაიცა 4 დღით ადრე „სათხოვნელი პუნქტების" აპრობაციამდე. აი, სწორედ ამ მომენტიდან, ორმხრივი შეთანხმების რთული გზა იცვლება უფრო მარტივი და, გარკვეული მიზნებისათვის, უფრო — ხელსაყრელი გზით უშუალო ბრძანებებისა „ვისდამიცა სათანადო არს ცნობად მისთვის" ან „ვისაც ეს შეიძლება ეხებოდეს".

საქართველოს საკითხის ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტის მიუხედავად, იმპერატორი პავლე, მაინც აპირებდა გაემართა პეტერბურგში თეატრალური დარბაზობა და ქართველი ერისაგან წარმოგზავნილ „დეპუტატთა" ფიცის დადების ცერემონია. ამ მონარქის რომანტიკულად განწყობილი წარმოსახვა საქართველოს ხვედრად განუმზადებდა მაღალ პატივს: გაეწია წმ. იოანე იერუსალიმელის ორდენისათვის მალტის, იმ კუნძულის მაგივრობა, ვერაგ ბრიტანელთა ხრიკიანობის გამო რომ დაჰკარგეს. მაგრამ ეს არ მოხდარა.

### VI.

1800 წლის 28 დეკემბერს აღესრულა გიორგი მეფე, და მოსახლეობას სასწრაფოდ გამოეცხადა იმპერატორის ნება ტახტთან დაკავშირებით (ჯერ კიდევ 2 დეკემბერს კნორრინგი ავალებს გენ. ლაზარევს, მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას მეფის გამოცხადება. „ეს ამბავი შეინახეთ ისე საიდუმლოდ, როგორც ამას მოითხოვს მოცემული საქმის მნიშვნელობა; ხოლო მეფის გარდაცვალების შემთხვევაში გამოუცხადეთ მონარქის ნება ბატონიშვილებს, თავადაზნაურობას და ხალხს, მერე კი შეაკავეთ ყველაფერი მორჩილების კალაპოტში"... ყოველგვარი „მნიშვნელოვანი" ამის შესახებ სასწრაფოდ გვაცნობეთ; დეპეშები გამოატანეთ ყაზახთა მარჯვე მეთაურებს, ხოლო მეფის გარდაცვალების შეტყობინებისას, შიკრიკს გამოაყოლეთ ყაზახთა ძლიერი ბადრაგი მოზდოკამდე. Акты, ib, გვ.182. № 125. იხ. ლაზარევის 1800 წ. 28 დეკემბრის (მეფის გარდაცვალების დღეძ „ცირკულარი" კახეთის მცხოვრებთ. ცაგარელი, II, № 177ძ. მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და თბილისში, ბოლოს და ბოლოს, ჩამოვიდნენ თავადები ავალიშვილი და ფალავანდიშვილი. რჩებოდნენ რა იმ „პუნქტების" ნიადაგზე, რომელთა პირიც ჩამოიტანეს საქართველოში, ჩვენ უკვე ვიცით, რატომ — ქართველმა რწმუნებულმა მოციქულებმა, რომლებსაც, აშკარად, მათზე დაკისრებული მისიის არსისა გამო, ჯერ არ შეეძლოთ საქართველო რუსეთისაგან საბოლოოდ შემოერთებულად ჩაეთვალათ, — თვით ბატონიშვილს გადასცეს პავლე იმპერატორის სიგელი და, საერთოდ ისე უყურებდნენ, როგორც საქართველოს ტახტის ბუნებრივ მემკვიდრეს (საკუთრივ, რუსეთის ხელისუფალთ სურდათ, დროებითი მმართველობა იოანე ბატონიშვილისათვის დაეკისრებინათძ.

1801 წლის 15 იანვარს დავით ბატონიშვილმა გამოაქვეყნა მოწოდება ქართველი ერისადმი, რომელშიც აცხადებდა: „მებრძანა უმაღლესითა ბრძანებითა მიახლოვებად მემკვიდრეობით ტახტისადმი საქართველოისა, სადღესასწაულოითა დღესასწაულობითა, მართებელად და ვინაითგან საჭირო იყო გამოცხადება ამისი ერთადმი ჩვენთა, ამისათვის გამოუცხადეთ დღესასწაულობითსა მიღებასა მართებლობით მემკვიდრეობითსა ტახტისა ჩვენისასა..." (Акты, I, გვ. 297, № 358. ტახტის მემკვიდრე უფლისწულის დავითის მოწოდება ქართველი ერისადმიძ.

მაგრამ, დავითმა ტახტთან მხოლოდ „მიახლოვება" შეძლო. მომაკვდავი დინასტიური სამართლის გვერდით, იმპერატორის მანიფესტები და ბრძანებულებები თანდათან უკვე ქმნიდნენ ბაზისს ახალი მშენებლობისათვის; უკვე ამზადებდნენ ჟანგმიწის კასრებს და მართავდნენ ფუნჯებს, რათა იმპერიისფრად გადაეღებათ საქართველო (როგორც საქართველოს ბოლო დღეების ამსახველი


З. АВАЛОВЪ
ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ КЪ РОССІИ
С.-ПЕТЕРБУРГЪ
1901

მელანქოლიური მემუარის ავტორი წერს, „დავით ბატონიშვილმა თავისი მამის ტახტი დაიკავა მემკვიდრის უფლებით, და რამდენიმე თვის განმავლობაში მას ეკუთვნოდა ძალაუფლება, რომელიც მთელი სისრულით ჰქონდათ პაპამისს და მამამისს. მაგრამ გარემოებებმა და საპოლიტიკო გადატრიალებებმა არ დაანებეს, ესარგებლა ყველა სამეფო პრეროგატივით". და, ამრიგად, „ივერიაში ძირფესვიანად შეიცვალა ყველაფერი". Memoires inedits, relatifs a l' histoire etc.II-de partil, § 198ძ.

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა 1-ლი მანიფესტი შემოერთების შესახებ — ნაკლებ ცნობილი და უარესად დაწერილი, მაგრამ არა ნაკლებ ნამდვილი, ვიდრე 12 სექტემბრის მანიფესტი.

18 იანვარს საქართველო უკვე რუსეთის ტერიტორიის ნაწილად გამოცხადდა, და თუ 12 სექტემბრამდე მისი მდგომარეობა, ასე თუ ისე, საბოლოოდ არ იყო გარკვეული, მხოლოდ იმიტომ, რომ საჭირო გახდა რამდენიმე თვე გასულიყო, სანამ ალექსადრე I-ის პირადი მართლშეგნება შეურიგდებოდა ისეთ შემოერთებას, როგორიც მამამისის მეფობისას მოხდა.

პირველი მანიფესტის მიხედვით განხორციელებული რუსეთთან საქართველოს შემოერთების ხასიათი, სურდათ, შეერბილებინათ იმით, რომ იმპერატორმა გადაწყვიტა საზეიმო აუდიენციაზე მიეწვია ქართველი დეპუტატები (18 იანვრის რესკრიპტით (მანიფესტის ერთდროულადძ კნორრინგს ებრძანა, გამოექვეყნებინა ეს მანიფესტი საქართველოში და სასწრაფოდ გამოეგზავნა დეპუტატებიძ, ამასთან, თვითონ უნდა შემოსილიყო საქართველოს ძველი მეფეების კაბით და ა.შ. მაგრამ ეს მასკარადი ვერ აანაზღაურებდა დაკარგულ დამოუკიდებლობას, და „ორმხრივეულობის" თეორიასაც ქართველები



ერთბაშად ვერ შეელეოდნენ. 1801 წლის 18 იანვარს (იმავე დღეს, რა დღესაც გამოქვეყნდა მანიფესტი პეტერბურგშიძ ბატონიშვილი დავითი კნორრინგს სწერდა, რომ უმაღლესი ნების თანახმად, მან თავადები ავალიშვილი და ფალავანდიშვილი მიავლინა ხელმწიფესთან რწმუნებულ მინისტრებად, როგორც თავისი სახელით, „ისე აქაური სამღვდელოებისა და საერო დიდებულებისაგან"... იგი სთხოვს გენერალს, გაუწიოს მათ შემწეობა, რათა, როგორც ამბობს „მე და ჩემს სამეფოს ამთავითვე დაგვებედოს დლეკეთილი მაღალმონარქიული წყალობა".

გზავნიდა რა რწმუნებულ მოციქულებს, დავით ბატონიშვილი მათ ანიჭებდა იმ მნიშვნელობას, რომელიც გამომდინარეობდა როსტოპჩინის მიერ გადაცემული უმაღლესი ნებიდან. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ნება ერთდროულად მოდიოდა ორი გზით — „ორმხრივულობის" გზით და უფრო გამარტივებული ცალმხრივი ნების გამოხატვის გზით. ასე იყო, თუ ისე, პეტერბურგში ასევე ელოდნებოდნენ დეპუტატებს — ისინი „საჯარო აუდიენციისათვის" სჭირდებოდათ.

პავლეს სურდა, „მთელს ქვეყანას" ენახა საქართველოს კეთილნებობითი შეერთება.

ბედის ირონიამ მეორედ დაარღვია ამ შემოერთების ნავარაუდევი ცერემონიალი. მაშინ რწმუნებულებმა ცოცხალს ვერ ჩაუსწრეს გიორგი მეფეს; ახლა, სანამ პეტერბურგში ჩავიდოდნენ, გარდაიცვალა თვით პავლე იმპერატორიც (გარემოებათა სასწაულებრივი დამთხვევის გამო, წერს ბუტკოვი, რწმუნებულ ქართველ მოციქულებს, რომლებმაც ცოცხალს ვერ ჩაუსწრეს თავიანთ მეფეს, ბედმა ზურგი შეაქცია — ვერც რუსეთის მონარქს ჩამოუსწრეს". პავლეს გარდაცვალების ამბავი მათ მოსკოვში შეიტყვესძ. ეს 1801 წლის 12 მარტს მოხდა.

ამჟამად იმპერატორის მიერ დეპუტატთა საზეიმო აუდიენციაზე მიღების საკითხი ადგილს უთმობს მეორეს, უფრო მნიშვნელოვანს — სახელდობრ, ალექსანდრე I ვერ ბედავს ერთბაშად აიღოს თავის სინდისზე საქართველოს შემოერთება, პავლე იმპერატორის ერთი ხელის დაკვრით მიღებულმა მანიფესტმა რომ განაჩინა.

ახალგაზრდა ხელმწიფე, რომლის უარყოფითს დამოკიდებულებასაც ამ აქტისადმი მხარს უჭერენ მისი უახლოესი თანამოსაგრენი — განთქმული „ტრიუმვირატის" წევრები, სამართლის თვალსაზრისს უპირისპირებს სახელმწიფო ინტერესის იდეას, ერთადერთს, რითაც ხელმძღვანელობდნენ საქართველოს შემომტკიცებისას.

### 2.

პეტერბურგში გამოქვეყნებიდან ერთი თვის თავზე, მანიფესტი თბილისში გამოქვეყნდა.

ამასობაში, დავით ბატონიშვილი, რომელმაც ქართველ რწმუნებულთა შეგონებით საკუთარ ხელში აიღო საქართველოს მართვის სადავე, მოქმედებს როგორც ტახტის ნამდვილი დამცველი და მომავალი მეფე. ასეთი ვითარება, ფაქტობრივად შეიქმნა საქართველოში მოქმედ რუს სამხედრო ხელისუფალთა მიერ „ხელმიშვების" შედეგად.

ამრიგად, იმპერატორ ალექსანდრეს ტახტზე ასვლისას, თუმც საქართველო უკვე იყო 18 იანვრის მანიფესტით იმპერიის ნაწილად გამოცხადებული, მაგრამ საბოლოო ოკუპაცია, საქართველოში რუსეთის ხელისუფალთა საბოლოო ხელდასხმა ჯერ არ მომხდარიყო.

„შემოერთებისათვის", ისევე როგორც ბევრი სხვა რამისათვის, არ არის საკმარისი ოდენ ნება, თუნდაც მანიფესტით გამოცხადებული; საჭიროა, კიდევ შეიქმნას ამ ნების შესაბამისი გარემოებების ფაქტობრივი წყება. გასატარებელი იყო მთელი რიგი საპოლიტიკო ღონისძიებები, რომელთა მიზანი იქნებოდა, ბათილეყო გასაუქმებელი სამეფოს სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოები. ხოლო რამდენადაც საქართველოს ბუნებრივი და ნორმალური წარმომადგენელი, მისი აწ უკვე ამოწურული საპოლიტიკო მყოფობის ხატი იყო მეფე, ტახტზე არაშვება წარმოადგენდა სწორედ იმ ღონისძიებას, რომელსაც შედეგად მოსდევდა ერთი წესის აღსასრული და მეორის დასაწყისი. რუსეთის სამხედრო ხელისუფლებმა არ დაუშვეს ახალი მეფის გამოცხადება. ასეთ გამოცხადებას ღია შეტაკება მოჰყვებოდა. ეს არ მომხდარა სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ქართველებს ჯერ არ გადასწურვოდათ ძველი გზის — ორმხრივული მორიგების იმედი.

პირველი მანიფესტის შემდეგადაც კი, ახალი, ხალხმრავალი დეპუტაციის გაგზავნა, ისევ იმ რწმუნებული მოციქულების მეთაურობით, ყველა წოდებისაგან გატანებული სიგელებით — ანიჭებდა რუსეთის მთავრობას შესაძლებლობას, არ მიეყვანა ბოლომდე ოკუპაცია, გადაესინჯა და შეემოწმებინა თავისი უფლებები საქართველოზე.

ერთი სიტყვით, დეპუტაციის ხელმძღვანელად წარგზავნილი რწმუნებულების პეტერბურგს დაბრუნება, იმ განზრახვით, რომ მიელწიათ ერთობლივი საზეიმო აქტისათვის და ორმხრივი შეთანხმებით დაემკვიდრებინათ საქართველოს შეერთება რუსეთთან — პირდაპირ პასუხს სცემდა იმპერატორ ალექსანდრეს ეჭვებს და უჩვენებდა მას საკითხის მართლზომიერი გადაწყვეტის ერთადერთ სწორსა და მარტივ ხერხს.

**მაგრამ, საქმეც ის არის, რომ რწმუნებული მოციქულნი ამაოდ დაშვრნენ, და გამოიძებნა სულ სხვაგვარი ხერხები იმპერიის საპოლიტიკო სარგებელთან უწესობის მოზიზღარი იმპერატორის ორჭოფობის შერიგებისა.**

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

*** რუსულ გამოცემაში წიგნის დამატებითს მასალებს დართული აქვს „სათხოვნელი პუნქტების" ტექსტი, რომელიც განსხვავდება „პუნქტების" ქართულ ენაზე არსებული ვარიანტებისაგან. ქართული დედანი, სავარაუდოდ, მოსკოვის არქივებში უნდა ინახებოდეს, და მისი მოძიება გაგვიჭირდა, ხოლო თარგმანისაგან, ტექსტის სპეციფიკურობის გამო, თავი შევიკავეთ.**

**მკითხველს შევახსენებთ, რომ „საქართველოს შეერთება რუსეთთან" წიგნად გამოდის „ტრადიციონალისტის ბიბლიოთეკის" სერიით, ზურაბ ავალიშვილის სხვა ნაწერებთან ერთად, სავარაუდოდ, ნაახალწლევს. — ა. მ.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 203-230.

რა დღეშიც ვართ

# წინ მძიმე ზამთარი ფასები გველოდება

***წლევანდელი ზამთარი ცივი იქნება თუ თბილი, ამის პროგნოზირება შეიძლება გაჭირდეს, მაგრამ საკმაოდ მძიმე გადასაგორებელი რომ იქნება, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება, გარდა საქართველოს ხელისუფლებისა, რა თქმა უნდა, რომელიც ტყუილებსა და კვეხნა-ბაქიბუქში იმდენად დასპეციალდა, რომ ამპარტავნობის ბურუსიდან აგვისტოს ომმაც კი ვერ გამოიყვანა. მართალია რუსულმა აგრესიამ გვაზარალა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი ისე გამართულად მუშაობენ, ჩვენ წინსვლას არავითარი საფრთხე არ ემუქრებაო — გვამშვიდებდნენ სულ ცოტა ხნის წინათ ქართული ეკონომიკის „მამები“, ეროვნული ბანკის მეთაურები, სახელმწიფოს სხვა უმაღლესი პირები.***

ომი კიდევ ჰო, „მოვიგეთ“ და, ბუნებრივია, ჩვენს მზარდ ეკონომიკას წინ ვერ გადაუდგებოდა, მაგრამ ზედ ეს მსოფლიო ფინანსური კრიზისიც რომ გადაეხლართა, ამას რაღას მოვუხერხებდით? არც ამ ტრაგედიისა უნდა გვეშინოდეს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოს ეკონომიკა საზედნიეროდ მსოფლიო ეკონომიკაზე მიბმული არ არისო — გვამხნევებდნენ ჩვენი მამლაყინწა ჩინოვნიკები.



სამწუხაროდ, ხელისუფლების „პრაგმატული“ ეკონომიკური პოლიტიკა და „მოგებული“ ომის შედეგები გლობალურ მსოფლიო პროცესებთან არა, მაგრამ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზართან კი რატომღაც პირდაპირ მიბმული აღმოჩნდა. იმდენად მიბმული და გადაჯაჭვული, რომ პროდუქციის უდიდეს ნაწილზე ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. სავარაუდოდ, ეს ტენდენცია დამდეგი წლის პირველ კვარტალშიც აქტიურად გაგრძელდება. ფასების ზრდა განსაკუთრებით მოსალოდნელია ფქვილზე, შაქარზე, ზეთზე, საპონზე და პირველადი მოხმარების სხვა საქონელზე.

ხალხს ხელისუფლებიდან წამოსული ოპტიმიზმის ნატამალიც კი უქრება, როცა ისმენს, რომ მალე შესაძლოა, პურის ფასიც გაიზარდოს. ეს თითქოს არალოგიკურია, რადგან ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოს ბაზარზე შემოტანილი ხორბალი 120 პროცენტით გაიაფდა. ამ ფონზე, ბუნებრივია, პურიც უნდა გაიაფებულიყო, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა, ერთი სტანდარტული ნახევარკილოგრამიანი პური კვლავაც 60-70 თეთრად იყიდება. აღარაფერს ვამბობთ არასტანდარტულზე, რომელიც გაცილებით ძვირი ღირს.

რატომ ასე ძვირი, ნუთუ ამაშიც ჩვენი ხელისუფლება ტყუის? არა, ბიჭო, ყაზახეთის ხელისუფლება, სადაც ბოლო პერიოდში ხორბალი იმდენად გაიაფდა (ჩვენ ეს პროდუქტი ძირითადად იქიდან შემოგვაქვსძ, რომ ტონა 250 დოლარი გახდა. აბა რა სჭირთ ქართველ ხაბაზებს საიმისო, რომ პურს ერთი თეთრიც ველარ ჩამოაკლეს?

ხარჯები, ბატონო, ხარჯები! პურის საწარმოებისთვის (და არა მარტო მათთვისძ წყლის გადასახადმა მოიმატა, ბუნებრივი აირი გაძვირდა, სამუშაო პირობები დამძიმდა და აქედან გამომდინარე, წონაში მოკლებული პურიც დამსუბუქების ნაცვლად კიდევ უფრო „დამძიმდა“.

აკი მთავრობამ სიამაყით გვამცნო, აზერბაიჯანთან კონტრაქტი გავაფორმეთ და ხუთი წლის მანძილზე გაზის ტარიფი ერთი თეთრითაც არ მოიმატებსო? ეს მოსახლეობისთვის, თორემ კერძო სადისტრიბუციო კომპანიები თავის ნებაზე არიან მიშვებული და აქაოდა თავისუფალი საბაზრო პრინციპი მოქმედებსო, საწარმოებს გაზს საკუთარი ნიხრით ასყიდებენ. „ყაზტრანსგაზმა“, მაგალითად, პურის საცხობებს (სხვა საწარმოებსაცძ გაზის ტარიფი ჯერ 56 თეთრიდან 79 თეთრამდე აუგდო, შემდეგ ვითომ ფასი „დაარეგულირა“ და 69 თეთრს დასჯერდა.

არავინ უწყის, ახლო მომავალში „თავისუფალ ბაზარში“ მოთამაშე სადისტრიბუციო კომპანიებიდან, გაზის ფასის გაზრდასთან დაკავშირებით ვის რა მოეხუშტურება. ამიტომაც ეკონომიკის ექსპერტები სულაც არ გამორიცხავენ, რომ ამ ზამთარს პურის ფასმა 1 ლარამდე აიწიოს (!ძ.

პროდუქტებზე ფასების ზრდას ბევრი ექსპერტი აგვისტოს ომის შედეგებს უკავშირებს, თუმცა, ხალხი არანაკლებ აზარალა ეროვნული ვალუტის უცაბედმა გაუფასურებამ, რომ-

გლობუსი

# „თქვენ კი, სულერთია, სად, როგორ დასხდებით,

## მორიგი სამთავრობო „კორიანტელი“ და დიპლომატია

**დიდი კრილოვის იგავარაკი კიდევ ერთხელ გვახსენებს თავს.**

გასულმა კვირამ ახალი სიურპრიზები მოუტანა სამთავრობო გადაადგილებათა მოყვარულებს. მოსახლეობის ფართო წრეები, ვისთვისაც მორიგი სამთავრობო კარსული დატრიალდა, სენსაციას, ყოვლად უემოციოდ შეხვდა. როგორც ჩანს, სისტემატურმა სენსაციებმა გადაღალა საზოგადოება. მას უკვე აღარ აინტერესებს მინისტრების ცვლა, ვინაიდან კარგად იცის ერთის მეორით ჩანაცვლებას მისთვის არაფერი მოაქვს. მოსახლეობის მომხმარებლური მიდგომა არც საძრახია და არც გასაკვირი. **ხელისუფლების დაუღალავი „შრომის“ წყალობით ინდიფერენტიზმი საქართველოს საზოგადოების დამახასიათებელი თვისება ხდება. როდესაც საზოგადოებას ძალით „დააჯერებ“ საკუთარ არჩევანში, სამოქალაქო პასუხისმგებლობას ვეღარ მოსთხოვ. სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარეშე საზოგადოება, ქვეყანა ვერ აშენდება და რახან ვერ აშენდება, მას არაფერი ესაქმება ცივილიზებული სახელმწიფოების საკრებულოში. რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ საქართველოს მიერ ევროპული ფასეულობებისკენ ამორჩეული გზა უცვლელია, იმ ცივილიზებული სამყაროსათვის საქართველოს დემოკრატიულობა მაინც დაუჯერებელია. დასტურად ბრიუსელის 2-3 დეკემბრის გადაწყვეტილებაც კმარა. საქართველოს უარი უთხრეს ნატოში გაწევრებაზე. საქართველოს და არა მის ხელისუფლებას, ვინაიდან ხელისუფლება წარმოადგენს სახელმწიფოს შინ და გარეთ. ხელისუფლება ხალხის არჩეულია. ცხადია ცუდი ხელისუფლება სერიოზულ ზიანს აყენებს სახელმწიფოს. სამწუხაროდ, დღიდან დამოუკიდებლობის მიღებისა, საქართველოს არ ჰყოლია ნორმალური ხელისუფლება.** საზოგადოებაც შეეჩვია ამ მიუღებელ ფაქტს. მისი შემართება ერთჯერადია. მასზე იოლად მოქმედებს ქარი, წვიმა, სიცხე, სიცივე, პოლიტიკოსთა მოწოდება. მას არა აქვს ისეთი შემართება, როგორც სხვას. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. გუშინდელიც კმარა. ტაილანდელებმა ერთი კვირის განმავლობაში გადაკეტეს დედაქალაქ ბანგკოკის საერთაშორისო აეროპორტი და მანამ არ დაიშალნენ, ვიდრე პრემიერ-მინისტრის გადადგომის პირობა არ მიიღეს. აეროპორტის ბლოკირებამ ეკონომიკურად ძლიერ, ტურიზმის სახელგანთქმულ ქვეყანას ოთხ მილიარდ დოლარამდე ზარალი მოუტანა, მაგრამ საბოლოო ჯამში ხალხმა გაიმარჯვა.

საქართველოს მოსახლეობას სხვა პრობლემები აწუხებს. მათ შორის მთავარი — საკუთარი თავის და ოჯახის გამოკვება. ეს კი ისეთი პრობლემაა, ათ ლარად ნაციონალების სასარგებლოდ რომ მიგაცემინებს ხმას. ასეთ დროს ვილას ახსოვს სამოქალაქო პასუხისმგებლობა, პატრიოტიზმი ან სხვა იზმი. **როდესაც ქვეყანაში შექმნილი ვითარება პირდაპირ კუჭს უკავშირდება, ძნელია თავს ძალა დაატანო სახელისუფლებო გადაადგილებებზე ფიქრით. ან რატომ უნდა დაატანო?არ სჯობს შენს მიერ „არჩეულმა“ პრეზიდენტმა იმტვრიოს თავი? ისიც „იმტვრევს“, თუმცა ბოლო დროს ამ მხრივ ხშირად უხდება თავის „მტვრევა“. მოხსნა-დანიშვნის პროცედურა ისე გახშირდა, პრეზიდენტის მეორე ვადის დასასრულამდე თუ მთელი არა, ნახევარი საქართველო „ყოფილი მინისტრის“ ტიტულით იქნება დაჯილდოებული. მეხსიერებას შემორჩა საბჭოთა პერიოდის საყოველთაო ჯილდო „შრომის ვეტერანი-, რომლითაც მოსახლეობის 80 პროცენტი იყო დაჯილდოებული.**

ერთი ასეთი დაჯილდოებული, რომელსაც საგარეო საქმეები მიანდეს, დაბეჯითებით უმტკიცებდა საზოგადოებას, რომ სახელმწიფოს მიერ არჩეული დასავლური კურსი არ შეიცვლება. რუსეთგამოვლილი ახალი მინისტრის დანიშვნაში, მასმედიას მოსკოვისკენ გადახრის ეჭვი გაუჩინა. სწორედ ამის პასუხი იყო ახლის მტკიცე პოზიცია დასავლეთთან მიმართებაში. მას რომ ეთქვა, შევცვლიო — ვინ დაიჯერებდა? **საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკა, ეკონომიკა, სულიერი ცხოვრება თუ ფიზიკური არსებობა ერთი ადამიანის — პრეზიდენტის ხელშია. მის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული მინისტრების ყოფნა-არყოფნა. მინისტრებზეა დამოკიდებული სამინისტროების აპარატების მუშაკთა დარჩენა-არდარჩენა. გათავისუფლებული მინისტრების, შედარებით დაბალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, მათ ქვემდებარეთა ყოფნა-არყოფნა. სახელისუფლებო ვერტიკალის ტრიალი საბოლოო ჯამში რიგით მოქალაქამდე დადის. არაპროფესონალი, გამოუცდელი, სახელმწრიფო თანამდებობისათვის შეუფერებელი ქორფა ასაკის ხელმძღვანელი, უცოდინარობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით მძიმე ტვირთად აწვება მოკვდავთ, ყველას ვინც ზერელედ უდგება არჩევნებს და პრეზიდენტის მსგავს გადაწყვეტილებას.**

მემატიანენი 2008 წელს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს წლად ჩათვლიან. მთელი წლის განმავლობაში უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პერიპეტიებით გამოწვეული ნეგატიური მდინარე, რომელიც საბოლოოდ რუსეთთან დაპირისპირებაში გადაიზარდა. დაიკარგა ტერიტორიები. ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ახალი ძალით იფეთქა საქართველოზე „ზრუნვის“ საკითხმა, ანუ ფედერალიზაციამ, ანუ საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელებისთვის ავტონომიების მინიჭებამ.

10 ნოემბრის რუსულ „ნეზავისიმაია გაზეტაში“ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის თანამშრომელი, პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. მალგინი წერს, რომ საქართველოს სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობის ავტონომიის მოთხოვნა სამართლიანია. ავტორი გვთავაზობს სახელმწიფო მოწყობის ასიმეტრიულ, მრავალდონიან სისტემას.

მალგინის მოსაზრება უცხო არ არის. ამ თემაზე სხვაგანაც იბეჭდება. შექმნილ ერთობ რთულ ვითარებაში ხელისუფლების გადაწყვეტილება ურყევია — ვიდრე რუსეთის ჯარი იქნება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ვიდრე რუსეთი უკან არ წაიღებს მათი დამოუკიდებლობის აღიარებას, რუსეთთან ურთიერთობა არ იქნება. პრეზიდენტის განცხადებით მიუღებელია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამი საელჩოს არსებობა. პრეზიდენტი მართალია, მაგრამ რამ გამოიწვია დიპლომატიური აღიარება?

ახალი საგარეო მინისტრიც იმავეს ამბობს. მინისტრის ფუნქციებში სულაც არ შედის ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა. დაბალი თუ მაღალი რანგის დიპ-



# და „მსუბუქი“



ლის ავტორი უკვე არა რუსეთის, არამედ საკუთარი ხელისუფლება გახლდათ. მთავრობა კი ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ ლარის კურსის ცვლილება ფასების ზრდას არ გამოიწვევდა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მისი „ნივთმტკიცება“ ყალბი გამოდგა. იმ ქვეყანაში, სადაც მოხმარებული საქონლის 80-90 პროცენტი იმპორტირებულია, აბა ვინ დაიჯერებს, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურება ინფლაციას არ გამოიწვევს და ყოველივე ეს ხალხის ჯიბეს არ დაარტყამს?

არც იმის იმედი შეიძლებოდა ვინმეს ჰქონოდა, რომ მონოპოლისტი ფარმაცევტული კომპანიები „ავერსი“ და „პსპ“ ამჯერად მაინც ინამუსებენ და ლარის დევალვაციას ხალხის გასატყავებლად და საკუთარი ჯიბის გასასქელებლად არ გამოიყენებდნენ. ჰო, ძალიან „ინამუსეს“, ყველაფერი ლარის კურსის ცვლილებით ახსნეს და მედიკამენტებზე ფასები 20-25 პროცენტით გაზარდეს.

თქვენ წარმოიდგინეთ, მთავრობა, ასეთ მძიმე ვითარების ჟამსაც კი, როცა 2009 წლის ბიუჯეტი წინასთან შედარებით 1 მილიარდითაა შემცირებული, არ დაიბნა და 1 იანვრიდან პედაგოგებისთვის ხელფასების 25 ლარით გაზრდა, ხოლო პენსიონერთათვის 5 ლარის მომატება გარისკა. მართალია დღევანდელი ინფლაციის პირობებში მათი გადიდებული შემოსავლების მსყიდველუნარიანობა გაზრდის ნაცვლად კიდევ უფრო შემცირდა და შეპირებული 100-დოლარიანი პენსიაც ჩაილურის წყალს გაჰყვა, მაგრამ ხელისუფლების მიერ გაწეული ამაგი ხომ მაინც დარჩება(!ძ.

ამაგიც არის და ამაგიც. მთავრობამ არ დაიზარა და იმის მაგივრად, რომ ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავებაზე ეზრუნა (ჩვენს გარდა ყველა ქვეყანას აქვს ასეთი პროგრამაძ, ამ დღეებში კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი საკადრო ცვლილება განახორციელა. მერე რა ვუყოთ, რომ ამას ოპოზიციის ერთმა ნაწილმა მორიგი საკადრო შიზოფრენია უწოდა. შენ რაც გინდა დაარქვი, **მთავარია „ახალმა სისხლმა“, რომელიც ხელისუფლებამ უკანასკნელად შეიშხაპუნა, მას არსებობის ვადა კიდევ რამდენიმე თვით გაუხანგრძლივოს.**

**ოთარ ხუციშვილი**

◉ წკეპლიკა

# გამოწვევა და გამომწვევი

**ყველა გონიერი მმართველი ერთმანეთს ჰგავს, ყოველი ბრიყვი მმართველი თავისებურადაა ბრიყვი. ყველაფერი აირია მინისტრთა კაბინეტში...**

ახლა პრემიერის მსუბუქი ხელით, უფრო სწორად, ენაპირით სიტყვა „გამოწვევამ“ შეიძინა ახალი „ჟღერადობა“ და იქცა ნოვატორულ პოლიტიკურ ცნებად...

ასეა თუ ისე, მეორე დემოკრატიული ტალღის აგორებას მოჰყვა პრემიერისა და რამდენიმე მინისტრის დაგორება და ახალი პრემიერის და ახალი მინისტრების „ჩამოგორება“, ზოგ შემთხვევაში მოულოდნელი და ზედაც – გაუგებარი. სხვანაირი ფიქრიც მოგდის თავში – საზღვარგარეთულ ჰელსინკისა თუ ჟენევის მინისტერიალს აედევნა თბილისური მინისტრების ტრიალი და ნახავ აგერ, ეგ მინისტერიალი „ისტერიალადაც“ იქცევა (თუ უკვე არ იქცა...ძ.

მაგარი ისაა, რომ თითქმის ყოველი ახალი დიდჩინოსანი თავის დანიშვნას ტელემონოლოგებში წარმოგვიდგენს პრემიერისაგან „არიკოშეტებული“ და უკვე მოდურად ქცეული „გამოწვევის“ ფორმატით, ოღონდ არც ერთი არ განმარტავს, თუ ეს გამოწვევა რისი ან ვისია, რისგან ან ვისგანაა გამოგზავნილი: ბედის გამოწვევაა, ცხოვრებისა, პრეზიდენტისა, მშობლიური პარტიისა, ვალუევისა, ერთი ძმის კლიჩკოსი, ეშმაკისა თუ კუდიანისა...

„მე ვიცი, ამ გამოწვევას როგორ უნდა ვუპასუხოო“, რიხითა და ნიშნისმოგებით რომ აცხადებს – ის ამიხსენით, რისი ან ვისი გგონიათ ეგ გამოწვევა ან ნიშნს ვის უგებთ, თორემ დაკავებული პოსტებიდან თქვენი ჩქარი გაწვევა ვისიც იქნება, ვიცი ეს მე ისედაც...

სიტყვის სწორად, დანიშნულებისამებრ გამოყენებას რაც შეეხება – კი ბატონო, გამოწვევა შეიძლება სხვა ქვეყნიდან შენი ქვეყნის ელჩისა (აგერ კიწმარიშვილის მაგალითი თვალწინ არაა!ძ, მოკრივესაგან – მოკრივესი, პარლამენტიდან – შენი მაჟორიტარი დეპუტატისა (თუ ხედავ, რომ მოვალეობას თავს ვერართმევს; მე შენ გეტყვი და, არ არიან ასეთები...ძ.

აბა თქვენ იცით, თქვე ახლადდანიშნულო და მალედამტკიცებულო მინისტრებო, როგორ უპასუხებთ ეშმაკის გამოწვევას – შევთანხმდეთ, რომ სწორედ დეტალებში მოკალათებული ეშმაკი გიგზავნით გამოწვევას...

ჩვენ კი რა გვენაღვლება, „ვახშმადაც აქ დავრჩებით“, დაველოდებით დემოკრატიის მესამე ტალღის, ან კიდევ უკეთესი, ყველაზე სახიფათო მეცხრე ტალღის აგორებას და შევხედავთ, იმჯერად ვის დააგორებს...

**ლუკა გორგაძე**

◉ გლობუსი

# მუსიკოსები მაინც ვერ გახდებით“...

ლომატი სახელმწიფო დაკვეთას ასრულებს. მასზე მხოლოდ ის არის დამოკიდებული, რამდენად კვალიფიციურად შეასრულებს დავალებას. სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის უცნობი საგარეო უწყება, თითო-ოროლა დიპლომატის გამოკლებით, დაბალი პროფესიონალიზმისა და დიპლომატიაში გამოუცდელობის გამო, უძლურია თავი გაართვას დაკისრებულ მოვალეობას. ქვეყნის ჩავარდნები, რასაც ადგილი აქვს საერთაშორისო არენაზე, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს მაღალჩინოსან პოლიტიკოსთა მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების შედეგია, ქართული დიპლომატიის დაბალი პროფესიონალიზმის შედეგიცაა. ან რა პროფესიონალიზმზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც 2004 წლიდან დაწყებული საგარეო უწყების ყველა ახალი ხელმძღვანელი (ასეთები მრავლად იყვნენძ – ვოლუნტარისტულად, სუბიექტურად უდგებოდა საკადრო საკითხებს და რაღაც კონკურსებისა და გამოცდების გზით ახალი ნათესავ-მეგობრების გადიპლომატებისთვის თავიდან იშორებდნენ ძველებს. დიპლომატია და ქართული შერჩევის მეთოდი ფუნდამენტურად არის დაშორებული ერთმანეთისგან. **დედამიწის ზურგზე ვერსად შეხვდებით 28, 29, 30 წლის ელჩს, გარდა საქართველოსა. ელჩი უმაღლესი დიპლომატიური რანგის მატარებელია. დიპლომატია ისე, როგორც სამხედრო სამსახური დაბალი რანგიდან იწყება. თითოეულ დიპლომატიურ საფეხურზე ასვლას ანუ ერთი რანგიდან მეორეზე გადასვლას მუყაითი შრომა ესაჭიროება, გარდა ამისა დრო. რანგის შესაცვლელად საშუალოდ სამი წელია დაწესებული. ამ მარტივი წესიდან გამომდინარე 28 წლის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გამოუცნობი ფენომენია მსოფლიო დიპლომატიისთვის. გამოუცდელი ახალგაზრდებისათვის ელჩის რანგით დასაჩუქრება სულაც არ ნიშნავს დიპლომატიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. დიპლომატიურ ცოდნას სპეციალური სახელმწიფო სასწავლებელი სჭირდება, რაც საქართველოში არ არსებობს. აქედან გამომდინარე, შედეგიც ადეკვატურია.**

**ახალმა მინისტრმაც არ დააყოვნა და ყველას გადადგომაზე განცხადების დაწერა უბრძანა. უკვე თვლა არ არის მერამდენედ ხდება კოლექტიური გადადგომა. ასეთ დროს რა საგარეო-პოლიტიკური კურსის გატარგებაზეა საუბარი?**

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა შეჩერებულია. ჟენევის ფორმატში მიმდინარე შეხვედრები ვერ შეავსებს ღრმა უფსკრულს, რომელიც პოლიტიკოსებთან ერთად უნიათო დიპლომატთა წაყრუებით, ზერელობით, არხეინობით შეიქმნა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რუსეთთან ურთიერთობა არასდროს ყოფილა ნამდვილ დიპლომატიად აღქმული. მოსკოვში არსებულმა საქართველოს საელჩომ, რომელმაც ესტაფეტა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლობიდან მიიღო, ინერციით გააგრძელა მუშაობა. ის უფრო ძველი წარმომადგენლობა იყო, ვიდრე ახალი დიპლომატიური მისია. მათი უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეები იყვნენ. რუსეთის მიერ, საქართველოს დიპლომატის პერსონა ნონ გრატად გამოცხადების შემთხვევაში, უმალ იჩენდა თავს გადაულახავი პრობლემა – დიპლომატის გაძევება. საქართველოს საელჩოს დიპლომატთა რუსეთის მოქალაქეობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. მოსკოვში არსებული საელჩო გაცილებით სუსტად გამოიყურებოდა, ვიდრე საქართველოს სხვა საელჩოები. ქართული დიპლომატიისთვის რუსეთი უცხოეთად არ იყო აღქმული. დიპლომატთა ურთიერთობა მოსკოვის პოლიტიკურ წრეებთან საბჭოეთის დროინდელ სუფრა-საუნაზე გადიოდა. საქართველოს სამინისტროებიც დიპლომატიური სამსახურის გვერდის ავლით პირდაპირ მიმართავდნენ თავიანთ რუს კოლეგებს, რაც უკმაყოფილებას იწვევდა ადრესატებში. **საელჩოს დიპლომატთათვის უცხო არ იყო მოსკოვურ ბიზნესში ყოფნა, რაც დიპლომატიური სამსახურის შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციით მიუღებელია. აღნიშნულის აღსაკვეთად საგარეო უწყებას არაერთხელ მიუმართავს საქართველოსთვის. საელჩომ სხვა მხრივაც გაითქვა სახელი – უცხოეთში ვითომდა საელჩოს საჭიროებისთის შეძენილი ალკოჰოლური სასმელების მოსკოვის მაღაზიებში შეტანა. საელჩოს მოხმარებისთვის განკუთვნილი სასმელები საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებული იყო. აღნიშნულ მაქინაციას დიდი ყურადღება დაუთმო მოსკოვის პრესამ. ხმაური გამოიწვია საელჩოს მიერ რუსეთში მცხოვრები ქართული „შავი სამყაროს“ ავტომანქანებისთვის საელჩოს კუთვნილი დიპლომატიური ნომრების გადაცემამ. საელჩოსათვის ჩვეულებრივ საქმედ იქცა მოსკოვში მომუშავე ქართველების საელჩოს თანამშრომლად (ატაშე, მდივანი, მრჩეველი) შეთავსებით გაფორმება. შეთავსებით „დიპლომატი“ საელჩოს გამოგონებაა. საელჩოსა და რუსეთის საგარეო უწყებას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა, როდესაც საელჩომ მასპინძელთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე საკონსულო გახსნა სანკტ პეტერბურგში. საკონსულოს გახსნა მხოლოდ ორი მხარის საგარეო უწყებათა შორის ხელშეკრულების გაფორმებით ხდება, რომელიც პარიტეტს ეფუძნება. საელჩოს, მსგავსი ინიციტივის უფლება არ ჰქონდა. რუსეთის საგარეო უწყებამ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ მხარეს საპროტესტო ნოტებითაც მიმართა, თუმცა საქმეს არ ეშველა, პირიქით საელჩომ ახალი საკონსულო გახსნა – ამჯერად სოჭში. საელჩოს არადიპლომატიურმა ქმედებამ არა მარტო რუსეთის დიპლომატიის, არამედ ხელისუფლების გულისწყრომა გამოიწვია. არც რევოლუციის შემდეგ დაუკლია ხელი საქართველოს საგარეო უწყებას. ადგილსამყოფელი ქვეყნის, ავსტრიის გაუფრთხილებლად ავსტრიაში საქართველოს ელჩი თბილისში დააბრუნა და საელჩოც დახურა. ამგვარ ქმედებას დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის დროს აქვს ადგილი. ავსტრიასთან კი ურთიერთობა არ გაწყვეტილა. ავსტრიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, დღეს ევროკავშირის საგარეო საკითხების კომისარი ქალბატონი ვალდნერი საქართველოს საგარეო უწყების მოქმედებით მეტად გაოცებული დარჩა. რომელი ერთი გავიხსენო. ნეგატიური მაგალითების სიუხვე მიგვანიშნებს ქართული დიპლომატიის ხარისხზე. დიპლომატიური წარმომადგენლობა წარმდგენი ქვეყნის სარკეა, მისი მეშვეობით ყალიბდება ადგილსამყოფელ ქვეყანასთან ურთიერთობა. რუსეთთან შექმნილ არასახარბიელო დამოკიდებულებაში ლომის წილი საგარეო უწყებასა და საელჩოზეც მოდის. პოლიტიკოსებთან ერთად მათაც უნდა გაიზიარონ პასუხისმგებლობა.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◉ ინფორმაცია

## გადმოგვეცით სომხეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები!

**სომხეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების დაბრუნების მოთხოვნით „ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობა“ დღეს სომხეთის საელჩოსთან აქციას გამართავს.**

**როგორც ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის ლიდერი გიორგი ანდრიაძე იტყობინება, დღევანდელ ჩრდილოეთ სომხეთში, ისტორიულ ლორე-ტაშირის ტერიტორიაზე, ათამდე მნიშვნელოვანი ქართული, მართლმადიდებლური ტაძარი და მონასტერია. სამწუხაროდ, ისინი სრულიად გავერანებული და გაპარტახებულია რაც მოწმობს იმას, რომ ეს სიწმინდეები მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაა და არა სომხური გრიგორიანული ეკლესიისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სათანადოდ იქნებოდა მოვლილი და ათვისებული.**

**ანდრიაძის განცხადებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ წლების განმავლობაში შეგნებულად არ აყენებდა აღნიშნული ტაძრების გადმოცემის საკითხს, რათა არ გაემწვავებინა მდგომარეობა და შენარჩუნებულიყო ის „სტატუს კვო“ რაც დღემდე არსებობს.**

**სამწუხაროდ, სომხური მხარის მხრიდან პერმანენტულად ცდილობენ ურთიერთობების ესკალაციას და ცალმხრივად მოითხოვენ იმ ტაძრების დაბრუნებას, რომლებსაც ისინი სომხურად მიიჩნევენ. საბედნიეროდ მათ ჯერჯერობით ვერ აიყოლიეს ჩვენი მოძმე სომეხი მოსახლეობა, მაგრამ, ვინაიდან სომხური მხარის მხრიდან ამგვარი მოთხოვნები კვლავ გრძელდება, ჩვენ არაფერი დაგვრჩენია თუ არა ის, რომ შევახსენოთ ამ პროვოკაციის ავტორებს ქართველი მათლმადიდებლების კანონიერი და ლოგიკური მოთხოვნები – სომხეთში არსებული მართლმადიდებლური ტაძრების ჩვენთვის გადმოცემის შესახებ, – აცხადებს ანდრიაძე.**

ინტერპრესნიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ცხოვრება სააკაშვილის შემდეგ



**ბრიუსელში ნატოს მინისტრების შეხვედრის შემდეგ საქართველოს ოპოზიცია გაორმაგებული ძალით ესხმის თავს მიხეილ სააკაშვილს, მას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას ალიანსში შესვლის უნაყოფო მცდელობასთან დაკავშირებით. თანაც პრეზიდენტს თავს ესხმიან არა მხოლოდ მომხრეები, არამედ ნატოში საქართველოს შესვლის მცირერიცხოვანი მოწინააღმდეგეებიც კი.**

როგორც ჩანს, ერთმაც და მეორემაც საჭიროდ მიიჩნია, რომ საქართველოსთვის ალიანსის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ ვაშინგტონში ეძებენ ან უკვე ნახეს კიდეც სააკაშვილის შემცვლელი, რომელმაც ვერ გაამართლა ამერიკის შეერთებული შტატების ნდობა. შესაბამისად, ყველაზე კარგი დროა, ვიმუშაოთ იმაზე, რათა დავაჩქაროთ „ვარსკვლავის საათი“ – როგორც მინიმუმი, გაუშვან სააკაშვილი საპრეზიდენტო მმართველობიდან და თავად დაიკავონ რაიმე ადგილი სახელისუფლო იერარქიაში.

თუმცა, ოპოზიციის ოცნება ჩქარა ვერ შესრულდება. მიუხედავად ამისა, მან უკვე დაიწყო სასურველის სინამდვილედ გამოცხადება, კერძოდ, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, რომელიც იბრძოდა ხან საქართველოს ნეიტრალიტეტისთვის, ხან მის ნატოში შესვლისთვის, განაცხადა: „ნატოს მატარებელი წავიდა სააკაშვილთან ერთად“. მან აგრეთვე ბრალი დასდო პრეზიდენტს იმაში, რომ მისმა „ნატოსკენ პათოლოგიურ-ისტერიულმა სწრაფვამ“ საბოლოოდ დაანგრია საქართველო, გამოიწვია რუსეთის ინტერვენცია და ოკუპაცია. საქართველოს მთავარი ლეიბორისტი აცხადებს: არავითარი სამხედრო ბლოკი საქართველოს არ სჭირდება.

ნათელაშვილისგან განსხვავებით, პარლამენტის ექს-სპიკერი, ამჟამად კი აქტიური ოპოზიციონერი ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ერთადერთი გადარჩენა არის „ნატოს ქოლგა“. ბურჯანაძე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სიყვარულის თვალებით შესცქეროდა პრეზიდენტს და ამართლებდა მის ნებისმიერ „ცელქობას“, მკაცრი ტონით საუბრობს სააკაშვილის უპასუხისმგებლობასა და არაადეკვატურობაზე, რის შედეგადაც საქართველომ ვერ მიიღო მაპი. შესაბამისად, „ქვეყანამ გადადგა სერიოზული ნაბიჯი უკან უშიშროებისა და დემოკრატიული განვითარების გზაზე“. მისი სიტყვებით, ნატოს გადაწყვეტილებამ მიანიჭოს საქართველოს აპი მაპის ნაცვლად, წაართვა ქვეყანას შესაძლებლობა – უახლოეს პერსპექტივაში შევიდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

ამრიგად, ასკვნის ბურჯანაძე, ხელისუფლების საუბარი ბრიუსელში გამარჯვების შესახებ – მხოლოდ დეზინფორმაციაა.

მაგრამ სააკაშვილის გუნდი და ბევრი ქართველი ექსპერტი, ამერიკელი ჩინოვნიკების ენერგიული მხარდაჭერით, კატეგორიულად არ ეთანხმება საკითხის ასე დასმას. მაპის შეცვლა აპით, ამტკიცებენ ისინი, არა თუ ართმევს ქვეყანას ნატოში შესვლის პერსპექტივას, არამედ, პირიქით, აახლოვებს მასთან. მათი აზრით, აპი მაპისგან განსხვავებით, უფრო ბევრის აღმთქმელია და ნაკლებად მკაცრი პროგრამაა, ვინაიდან მის ჩარჩოებში ნატოს წევრებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიაღწიონ შეთანხმებას ალიანსში საქართველოს მიღების შესახებ.

ამ დროს მოულოდნელად შეცვალეს ორი საკვანძო სამინისტროს – თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები, აგრეთვე ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი. განსაკუთრებით ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაური გახდა გრიგოლ ვაშაძე – რუსეთისა და საქართველოს მოქალაქე, რომელიც საკმაოდ დიდხანს მუშაობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში. პირველი, რაც მან გააკეთა დანიშვნის შემდეგ, არის ის, რომ უბრძანა ყველა მოადგილეს და ელჩს დაეწერონ განცხადება წასვლის შესახებ. ამის შემდეგ ვაშაძემ განაცხადა, რომ „საქართველოს ვექტორი ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში რჩება ძველი“, მესამე განცხადება კი შეეხებოდა რუსეთს, ვისაც საქართველომ „მოუგო პროპაგანდისტული ომის პირველი ეტაპი“. სხვათა შორის, მან აღიარა, რომ ქვეყანა უპირისპირდება „უზარმაზარ მანქანას, რომელიც ხარჯავს მილიონობით დოლარს“ და პროპაგანდისტული ომის გაგრძელებისთვის საქართველოს შესაძლებლობა არ გააჩნია – არის მხოლოდ შესაძლებლობა, „დაუპირისპიროს მას სტრატეგიული დაგეგმვა, კარგად მოფიქრებული პოზიცია“.

რაც შეეხება მოსკოვთან აგვისტოში დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის აღდგენას, საქართველო, „როგორც ცივილიზებული, დემოკრატიული, ლიბერალური ქვეყანა“ არ კარგავს იმედს, რომ „ოდესმე რუსეთის ფედერაციასთან იქნება ცივილიზებულ, კეთილმეზობლურ ურთიერთობაში“. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა, საქართველოს არ აქვს განზრახული, უარი თქვას თავის სამ პრინციპზე – დამოუკიდებლობაზე, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე.

თუ რამდენად არის შესაძლებელი ეს ქართულ რეალიებში, მინისტრმა არ დააკონკრეტა: ოდითგანვე ყველა მეტ-ნაკლებად ძლიერი მეზობელი სახელმწიფოები, რომლებიც მეზობლობენ კავკასიის რეგიონთან, ისწრაფოდნენ ან დაეპყროთ და მიეერთებინათ საქართველო, ანდა დაემყარებინათ მასთან საკუთარი პროტექტორატი. ეს საქართველოს ერთგვარი საზღაურია პოლიტიკური სტატუსისთვის, რომელიც დამძიმებულია გავლენიანი ქვეყნების პოლიტიკური მისწრაფებებით. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიიდან ხელსაყრელია მოვახდინოთ კასპიის აუზის სახელმწიფოებზე (კერძოდ, ირანზეძ ზემოქმედება, გავლენა ვიქონიოთ თურქეთზე, რუსეთსა და სომხეთზე, მოვახდინოთ ვითარების დესტაბილიზაცია ჩრდილოეთ კავკასიაში და ა.შ.

ეს მავნე წრე საქართველოს შეეძლო გაერღვია სსრ კავშირის დაშლის უმალვე, რომ გამოეცხადებინა თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ და კურსი აეღო ევროპასთან ინტეგრაციაზე სამხედრო კომპონენტების გარეშე. მაგრამ ეს არ მოხდა: ქვეყნის მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ცდილობდა ორ სკამზე ჯდომას – რუსულ და ამერიკულ სკამებზე, შედეგად კი შეაჯახა ერთმანეთს ეს ორი ქვეყანა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც რუსეთიც და ამერიკის შეერთებული შტატებიც მიიჩნევენ, განიხილონ არა როგორც სახელმწიფო, არამედ როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული გეოგრაფიული სივრცე. ზუსტად რომ ვთქვათ, სააკაშვილს ხელისუფლებაში მოსვლის დროს დიდი არჩევანი არ ჰქონდა: იგი აპრიორი უნდა მოხვედრილიყო ან მოსკოვის ან ამერიკის გავლენის ქვეშ.

ევროპა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მხოლოდ თვალყურს ადევნებდა საქართველოსა და მის გარშემო მომხდარ პროცესებს. ახლა უკვე, აგვისტოს მოვლენებისა და ნატოს ბრიუსელის შეხვედრის შედეგების შესაბამისად, პასიური მეთვალყურიდან იგი გადაიქცა აქტიურ მოთამაშედ და დაბლოკა ამერიკის შეერთებული შტატების სურვილი სწრაფად შეეყვანა საქართველო ალიანსში. ალბათ, ევროპელები ხელმძღვანელობდნენ სამი მიზეზით. ჯერ ერთი, არ არის არავითარი რწმენა, რომ ნატოში ან მის მისასვლელებთან ყოფნის დროს საქართველო არ დაიწყებს ომს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რათა პირდაპირ ან ირიბად ჩართოს მასში ალიანსის სახელმწიფოები. მეორეც, ევროკავშირის ძველმა წევრებმა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად ამ ეტაპზე რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება საქართველოს გამო. მესამეც, საქართველოსთვის უარის თქმით ევროპამ ერთგვარად უჩვენა ვაშინგტონს მისი არადომინირებული როლი ნატოში, ხაზგასმით აღნიშნა თავისი გავლენა როგორც ამ ორგანიზაციაზე, ისე სამხრეთ კავკასიურ რეგიონზე.

რასაკვირველია, თბილისსა და ვაშინგტონს შეუძლიათ დოკუმენტურად განამტკიცონ ამერიკული ბაზების განთავსება საქართველოში – მით უმეტეს, რომ შესაბამისი სამართლებრივი „პრელუდია“ შედგა ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს. საკითხი შეეხება იმას, ხელს აძლევს თუ არა ეს ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ხელმძღვანელობას, რომელსაც მოუწევს განსაზღვროს საკითხი ამერიკის ჯარების ერაყსა და ავღანეთში ყოფნის მასშტაბურობის შესახებ. არ არის გამორიცხული აგრეთვე, რომ ბარაკ ობამა ამჯობინებს ჯერჯერობით არ გაამწვავოს ურთიერთობა მოსკოვთან (თუმცა, მეორე მხრივ, ამან შეიძლება წაახალისოს რუსეთი საქართველოში სამხედრო ყოფნის პროლონგაციისთვისძ.

ნებისმიერ შემთხვევაში ქართულმა პერიპეტიებმა შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ხელმძღვანელობა ჩააყენოს მეტად რთულ მდგომარეობაში – იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი საქართველოში. რუსეთში მიაჩნიათ, რომ, როგორც კი სააკაშვილი წავა, სიტუაცია რეგიონში გახდება ავტომატურად სტაბილური, მაგრამ ამის ვარაუდი ძნელია. თუ მოსკოვი შეძლებს დანერგოს საქართველოში თავისი კაცი (რაც ნაკლებ სავარაუდოაძ, ეს ნაკლებად მოეწონება ამერიკის შეერთებულ შტატებს, აქედან გამომდინარე მადესტაბილიზებელი შედეგებით. ხოლო თუ საქართველოს ახალი პრეზიდენტი იქნება „ამერიკული“, ეს ხელს არ მისცემს არც რუსეთს, არც ძველ ევროპას. კიდევ უფრო ნაკლებ სავარაუდოა ევროპელების კაცი, ვინაიდან ევროპას არ აქვს საკმაო გავლენა კავკასიის რეგიონში.

ამრიგად, საქართველოს პოლიტიკური მომავალი დღეს ბუნდოვანია, როგორც არასოდეს ადრე. მაგრამ, ამავე დროს არასოდეს ადრე მის სივრცეზე გავლენისთვის არ უბრძოლიათ ასე თავგამეტებით ასეთ მძლავრ ქვეყნებს. ეს ბრძოლა ან არ დატოვებს ქვას-ქვაზე, ან დამთავრდება დაინტერესებული ქვეყნების ყველაზე განუჭვრეტელი კონსენსუსით, რაც არა მხოლოდ შეუნარჩუნებს საქართველოს ფიზიკურ არსებობას, არამედ დაეხმარება კიდეც მას მყარად დადგეს ფეხზე – პოლიტიკურადაც და ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

**ირინა ჯორბენაძე**

РОСБАЛТ

# სამინისტრო კარუსელი

**გადაადგილებანი მთავრობაში სააკაშვილს არ იხსნის, მიაჩნია ქართულ ოპოზიციას.**

გასულ სამშაბათს თავდაცვის, კულტურისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრების დანიშვნით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა დაასრულა მთავრობის ფორმირება. ცვლილებანი არ მოითხოვს პარლამენტში დამტკიცებას – კანონმდებლობის თანახმად, ამისთვის უნდა მოხდეს 17 მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრის სულ ცოტა მესამედის შეცვლა, მგალობლიშვილი კი შემოიფარგლა მეხუთედით.

უკანასკნელ საკადრო ცვლილებებს შეხვდნენ ნაკლები ენთუზიაზმით, ვიდრე, ვთქვათ, უფრო ადრე გამოცდილი დიპლომატის გრიგოლ ვაშაძის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნას. თუ გადაადგილებაში ექსპერტებმა დაინახეს მთავრობის ფორმირების პროფესიული კრიტერიუმი, მომდევნო დანიშვნები საპირისპირო აღმოჩნდა.

ყველაზე ნაკლები კრიტიკა გამოიწვია გადაწყვეტილებამ – დაინიშნოს თავდაცვის მინისტრად საქართველოს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში დავით სიხარულიძე, რომელიც უკვე მუშაობდა ამ უწყებაში სკანდალური ირაკლი ოქრუაშვილის მოადგილედ. საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ლაშა ჟვანიას ეკონომიკური განვითარების მინისტრად დანიშვნამ გამოიწვია სკეპტიკური შენიშვნები – ამ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ვინც გინდა, სულერთია, ეკონომიკურ საკითხებს წყვეტს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი კახა ბენდუქიძე. უფრო მეტი შეკითხვები გამოიწვია ნიკა რურუას დანიშვნამ სპორტისა და კულტურის მინისტრად – თავდაცვის საკითხებში საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილეს მრავალი წლის განმავლობაში კულტურის სფეროსთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია.

ამავდროულად შედარებით უფრო გაირკვა გაეროში ყოფილი ელჩის ირაკლი ალასანიას მომავალი. ჩვენი გაზეთი უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ხელისუფლება რეიტინგიანი პოლიტიკოსის ოპოზიციაში გადასვლის თავიდან ასაცილებლად შესთავაზებს მას თავდაცვის მინისტრის პორტფელს. მაგრამ თუ არსებობდა კიდეც ასეთი გეგმა, მაშინ რა მიზეზით არ ამოქმედდა იგი – ნებისმიერ შემთხვევაში ამ მომენტისთვის ალასანიასთვის მისაღები ადგილი თითქოსდა არც დარჩა. სხვათა შორის, თავისი გეგმების შესახებ მან პირობა მოგვცა ეამბნა თბილისში დაბრუნების შემდეგ, მანამდე კი ნებისმიერი ვარაუდი შეიძლება აღმოჩნდეს არაარსებითიო.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა, გადაადგილებათა კომენტირების დროს აღნიშნა, რომ ისინი „საინტერესოა და შეიცავს სიგნალებს საქართველოს პარტნიორებისთვის“. „უფრო დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით: მესიჯი იმიტომაა მესიჯი, რომ მისი აზრი გათვალისწინებული არაა ფართო საზოგადოებრიობისთვის“.

ექსპერტი გია ხუხაშვილი კი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მთავარი მესიჯი ვაშინგტონისთვის – ეს არის რუსეთის მოქალაქის გრიგოლ ვაშაძის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელად დანიშვნა: თუ ამერიკის შეერთებული შტატები სააკაშვილის შესაცვლელად ამზადებს ირაკლი ალასანიას, მაშინ თბილისი მკვეთრად შეცვლის ურთიერთობას მოსკოვთან. „სხვათა შორის, ხელისუფლებას არ გააჩნია რესურსები მოსკოვთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ეს არ შეუძლია ვაშაძესაც – მოლაპარაკებათა მატარებელი წავიდა. მთლიანად კი საკადრო ცვლილებები გახდა მმართველი გუნდის მორიგი კარუსელი. ხელისუფლება ძველებურად უგულებელყოფს პროფესიულ მიდგომას და არ ხელმძღვანელობს სახელმწიფო ინტერესებით“.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ

*(უცხოეთის პრესის მასალები იბეჭდება შემოკლებით).*

IX საერთაშორისო...

*ასეთ არაორდინარულ ვითარებაში არასოდეს გახსნილა ტრადიციული თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი. გახსნის წინ კინოთეატრ „ამირანის" შესასვლელთან ზვიადისტების ერთმა ჯგუფმა, რომელთა უმრავლესობა ასაკოვანი ქალები იყვნენ, აქცია მოაწყო. ისინი ფესტივალის სტუმრებსა და მაყურებლებს კინოთეატრში არ უშვებდნენ და პროტესტის მიზეზად საფესტივალო პროგრამაში ქართული ფილმების არარსებობას ასახელებდნენ. ფესტივალის გახსნას საფრთხე მართლაც შეექმნებოდა, რომ არა პოლიცია. მათი ჩარევის შემდეგ სტუმრებმა და მაყურებლებმა დაგვიანებით შეაღწიეს დარბაზში და მე-9 საერთაშორისო კინოფესტივალიც გაიხსნა.*

# ზვიადისტების აქციის ფონზე გახსნილი კინოფესტივალი

– თურმე ჩვენში გაუგებარი ვნებები ბობოქრობს, რას ვიზამთ, ეს არის სინამდვილე, ჩვენ ბევრი განსაცდელი გამოვიარეთ და ეტყობა კვლავაც გველის, – გულისწყრომა არ დამალა ცნობილმა რეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ.

– აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა სათუო გახადა ფესტივალის გამართვა, მაგრამ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და მერიის ხელშეწყობით და თანადგომით ფესტივალი მაინც შედგა. მართალია, პროგრამა შემცირდა და ბევრი საპატიო სტუმრის მოწვევაც გაჭირდა, მაგრამ ჩვენ მაინც საინტერესო პროგრამას ვთავაზობთ მაყურებლებს, მათ შორის ქართულსაც, – აღნიშნა ფესტივალის გახსნისას მისმა დირექტორმა ნინო ანჯაფარიძემ. ფესტივალის ორგანიზატორებმა აქვე ისიც განმარტეს, რომ ეს-ეს არის დასრულებულ ქართულ ფილმებს ავტორები ამზადებენ ბერლინის, კანის, როტერდამის, ვენეციის კინოფესტივალებისთვის. თბილისურ კონკურსში მონაწილეობა კი მათ ამის უფლებას არ მისცემს.



9-დან 14 დეკემბრის ჩათვლით კინოთეატრებში „ამირანსა" და „რუსთაველში" საფესტივალო პროგრამით 56 ფილმი იქნება წარმოდგენილი, მათ შორის ათი საკონკურსოა. სპეციალური პროგრამებით მაყურებლები ნახავენ თანამედროვე მსოფლიო კინოპროდუქციას. ფესტივალის მუდმივი პარტნიორი – გოეთეს ინსტიტუტი წელსაც წარმოადგენს აქტუალურ გერმანულ ფილმებს, ასევე ფართოდ იქნება წარმოდგენილი ფრანგული კინოპროდუქცია. რაც შეეხება ქართულ პროდუქციას, ამჯერად უჩვენებენ 20-30-იან წლებში გადაღებულ ოთხ უხმო ფილმს, რომლებიც კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და იუნესკოს ერთობლივი პროექტით იქნა აღდგენილი. ეს ფილმები თითქმის დავიწყებულია და დღევანდელ მაყურებელს არ უნახავს. ესენია: მიხეილ კალატოზიშვილის „ლურსმანი ჩექმაში", ნიკოლოზ კახიძის „ნორჩი მფრინავი", ვლადიმერ ბარსკის „არსენა ყაჩაღი" და ალექსანდრე წუწუნავას „ვინ არის დამნაშავე?"

ტრადიციით ფესტივალი წარმოადგენს იმ შემოქმედებითი ჯგუფების ნიმუშებს, რომლებიც უცხოეთში მოღვაწე ქართველ კინომოღვაწეთა შემოქმედებას წარმოაჩენს. მაგალითად, ფესტივალს დახურავს რუსეთში მოღვაწე მიხეილ კალატოზიშვილის ფილმი „ველური ველი", მაყურებელი ნახავს აგრეთვე ალექსეი გერმანის ფილმს „ქაღალდის ჯარისკაცს" მერაბ ნინიძის მონაწილეობით, სპეციალური ჩვენებით კი ნიდერლანდელი რეჟისორის ინეკე სმიტსისა და ტატო კოტეტიშვილის „ნოსტალგიას".

კონკურსში მონაწილე ფილმებს შორის არის იტალიის, საბერძნეთის, გერმანიის, ავსტრიისა და სლოვენიის, უნგრეთის, რუსეთის, თურქეთ-გერმანიის, პოლონეთისა და საფრანგეთის კინოპროდუქცია. ფილმებს განსჯის საერთაშორისო ჟიური ლანა ღოღობერიძის (თავმჯდომარე), გერმანელი პროდიუსერის რობერტ სმაიგერტის, კანის ფესტივალის ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელის (2004-2007 წლებში) სერჟ სობჩინსკის, ბრიტანელი რეჟისორის ჯო რაითის, ფლორენციის კინოფესტივალის დირექტორის მიქელე პანელეს შემადგენლობით. საუკეთესო ფილმები ოქროსა და ვერცხლის პრომეთეს მიიღებენ. ამას გარდა გაიცემა საერთაშორისო ფედერაციის „ფიპრესის" ჟიურის პრიზი და სერგო ფარაჯანოვის პრიზიც.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, კინოხელოვნების ცენტრ „პრომეთეს" დირექტორმა გაგა ჩხეიძემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ჩვენ კავშირს არ ვწყვეტთ რუსეთთან და გვინდა, რაც შეიძლება ბევრი კარგი ფილმი და რეჟისორი მოვიწვიოთ, მეორეს მხრივ, ქართული ფილმი მონაწილეობას არ მიიღებს იმ ღონისძიებებში, რომლებსაც რუსეთი აფინანსებს".

ფესტივალის გახსნის პატივი ერგო რეჟისორ ჯო რაითის ფილმს „სინანული", რომელიც ბრიტანული კინოაკადემიისა და ოქროს გლობუსის 2008 წლის გამარჯვებულია.

– ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ფილმით იხსნება ფესტივალი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ბედნიერებით სავსე. ფილმი, რომელიც თქვენს განსასჯელად გამოვიტანე, პოლიტიკური არ არის, იგი პირად განცდებზეა აგებული.

პირველად საქართველოს შესახებ შევიტყვე, როცა სტუდენტი ვიყავი და როტერდამში გავიცანი ქართველი ჭაბუკი, რეჟისორი ტატო კოტეტიშვილი. მისმა გაცნობამ გამიჩინა სურვილი მენახა ქვეყანა, საიდანაც ეს არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. ამიტომ როცა მოწვევა მივიღე, სიამოვნებით დავთანხმდი და ახლა დავრწმუნდი, რომ ყველა ქართველი ისეთივე გამორჩეულია, როგორიც ტატო იყო, – აღნიშნა რეჟისორმა ფილმის ჩვენების წინ.




ფილმმა „სინანულმა" მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა და გულწრფელი აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს იგი. ამ სასიამოვნო განცდების შემდეგ მაყურებელს კვლავ პოლიციის დახმარება დასჭირდა, რათა თავი დაეღწია ზვიადისტებისაგან.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

# განცხადებები აუქციონების ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 29 დეკემბერს დღის 12.00 საათზე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის 1) შპს „ფარი-12"-ის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

შპს „ფარი-12"-ის ქონება მდებარეობს თერჯოლის რაიონის სოფელ სარბევის კვახჭირის ასფალტობეტონის ქარხნის ტერიტორიაზე. სარეალიზაციოდ გამოტანილი შპს „ფარი-12"-ის უძრავ-მოძრავი ქონება:

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებულია აუდიტის, ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| შენობა-ნაგებობები | | | | |
| 1 | ქრაზ-256 ბ1 მარკის ავტომობილი, სარეგისტრაციო ნომერი დბბ 407 | 1ც | 15000 | კარგ მდგომარეობაში |
| | | | 15000 | |

სულ შპს „ფარი-12"-ის სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 1,
ტელ. 4-20-95, 4-45-79

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 29 დეკემბერს დღის 14.00 საათზე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის 1) შპს „პოლიმერი-93"-ის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

შპს „პოლიმერი-93"-ის ქონება მდებარეობს ქუთაისში, ნიკეას ქ. № 12-ში და ახალგაზრდობის პროსპექტ № 98-ში. სარეალიზაციოდ გამოტანილი შპს „პოლიმერი-93"-ის უძრავ-მოძრავი ქონება:

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებულია აუდიტის, ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| შენობა-ნაგებობები | | | | |
| 1 | დიზელ გენერატორი | 1ც | 4000 | მუშა მდგომარეობაში საჭიროებს მიმდინარე შეკეთებას |
| 2 | ცელოფანის დამამზადებელი დანადგარების კომპლექსი | 1ც | 5000 | არასტანდარტული მუშა მდგომარეობაში |
| 3 | ცომსაზელი დეჟი | 1ც | 1500 | მუშა მდგომარეობაში |
| 4 | ცომსაზელი ქვაბი | 1ც | 150 | მუშა მდგომარეობაში |
| | | | 10650 | |

სულ შპს „პოლიმერი 93"-ის სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 10650 (ათი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 1,
ტელ. 4-20-95, 4-45-79

ფეხბურთი



# მაინც მადლობა, თემურ!

**ჩემპიონთა ლიგის საშაბათის რაუნდის შეხვედრებიდან სტრატეგიული მნიშვნელობა მხოლოდ ორის შედეგს ჰქონდა. საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც საბუქმეიკერო კანტორები წინასწარმეტყველებდნენ — რომსა და ათენში მასპინძლებმა ლოგიკური გამარჯვებები მოიპოვეს და გაისად გაზაფხულზე მერვედფინალში ითამაშებენ.**

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო მოვლენები საბერძნეთის დედაქალაქში განვითარ-



და, სადაც ტრავმირებული სავიოს გარეშე მოასპარეზე „ანორთოსისი“, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ კრიმინალში შემჩნეული კლუბის პრეზიდენტი ანდრეას პანტელიც გამოაკლდა, პრინციპულ მეტოქესთან დამარცხდა და ამ წაგებით უეფას თასზე გამოსვლის უფლებაც დაკარგა. არადა, პირველი სახიფათო მომენტი სწორედ თემურ ქეცბაიას შეგირდებმა შექმნეს, მაგრამ კუნძულელთა ერაყელმა ლეგიონერმა ტაჰერმა რამდენიმე მეტრიდან ბურთი კარს გადააცილა.

შეგახსენებთ, რომ ელადელებმა ჯგუფური ტურნირის სტარტზე, „რომას“ მსგავსად, ზედიზედ ორი ბრძოლა დათმეს, თუმცა პლეი-ოფში გასვლა მაინც მოახერხეს.

**„ა“ ჯგუფი.** რომა — ბორდო 2:0. **გოლები:** ბრიგი, ტოტი. ჩელსი — კლუჟი 2:1. **გოლები:** კალუ, დროგბა; კონე. რომა — 12, ჩელსი — 11, ბორდო — 7, კლუჟი — 4 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** პანათინაიკოსი — ანორთოსისი 1:0. **გოლი:** კარაგუნისი. ვერდერი — ინტერი 2:1. **გოლები:** პიზარო, როზენბერგი; იბრაჰიმოვიჩი. პანათინაიკოსი — 10, ინტერი — 8, ვერდერი — 7, ანორთოსისი — 6 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** ბარსელონა — შახტარი 2:3. **გოლები:** სილვინიო, ბუსკეტსი; გლადკი (2ძ, ფერნანდინიო. ბაზელი — სპორტინგი 0:1. **გოლი:** ჟალო. ბარსელონა — 13, სპორტინგი — 12, შახტარი — 9, ბაზელი — 1 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** პსვ — ლივერპული 1:3. **გოლები:** ლაზოვიჩი; ბაბელი, რიერა, ნგოგი. მარსელი — ატლეტიკო 0:0. ლივერპული — 14, ატლეტიკო — 12, მარსელი — 4, პსვ — 3 ქულა.

ძიუდო

# ამირანის მორიგი სიმაღლე



**სახელოვან ქართველ სპორტსმენს, ძიუდოისტთა 1989 წლის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულს, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს ამირან ტოტიკაშვილს აქტიურ სპორტთან დამშვიდობების შემდეგაც არ შეუქცევია ტატამისთვის ზურგი — დიდი ხანია, მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებზე მსაჯობს. ამას წინათ მან კორეის ქალაქ ჯიჯუში არბიტრთა საერთაშორისო გამოცდები ჩააბარა და ძიუდოში A კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა. აქამდე ამგვარი პატივი მერაბ ლოსეურაშვილსა და ვლადიმერ ნუცუბიძეს ერგო.**

ჭიდაობა

# გაიხსენეს ამაგდარნი

**ქუთაისში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ზაურ შეყრილაძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის მურად დოხტურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა.** შეჯიბრებაში საქართველოს და სომხეთის 1992-1994 წლებში დაბადებული თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მონაწილეობდნენ.



წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: შმაგი თოდუა, რობერტ აგრასიანი, გიორგი ლეჟავა, ბექა კვირიკაშვილი, გიორგი ბრეგაძე, მათე ყუფუნია, მეგერ ალექსანიანი, ომარ გურჯიძე, ოთარ გოგავა, გიორგი გოგლიჩიძე, კახა თავაძე, თორნიკე ცაგარეიშვილი, შავლეგო გოგოხია, გიორგი მეშვილდიშვილი, ირაკლი ხურცილავა.

ფიგურული ციგურაობა

# ელენემ ყველას აჯობა

**დორტმუნდში დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა საერთაშორისო ჩემპიონატი — ჩრდილო რაინ-ვესტფალიის ტროფი, რომელშიც 24 ქალი მონაწილეობდა, მათ შორის ქართველი ელენე გედევანიშვილი.** ჩვენებურმა მოკლე პროგრამაში 56,10 ქულა მოაგროვა და საგრძნობლად დაწინაურდა. ლიდერს 5,4 ქულით ჩამორჩა ფრანგი კანდის დიდიე.

თავისუფალი პროგრამის შემდეგ ელენემ 142,32 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გავიდა იტალიელი ფრანჩესკა რიო (137,24ძ, ხოლო გერმანელი კონსტანცა პაულინუსი (133,68ძ მესამე იყო.



ცურვა



# რეკორდს რეკორდი მოჰყვება

**როგორც უკვე ვწერდით, 25-მეტრიან აუზში მსოფლიო რეკორდი ბატერფლაით 50 მეტრზე ცურვაში დაამყარა ამარი ლევომ. თუმცა ფრანგები ამით როდი დაკმაყოფილდნენ.** იქვე კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდით გაახარა ცურვის მოყვარულები ალენ ბერნარმა — მას 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ტოლი არ ჰყავდა — 45,69. ასევე სარეკორდო იყო თავისუფალი სტილით 200 მეტრზე კორალი ბალმის ასპარეზობაც.

ყოველივე ეს კი მოწმობს „სამფეროვანთა“ კარგ ფორმაზე 25-მეტრიან აუზში ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელიც დღეს იხსნება ხორვატეთში. ფრანგები ალბათ წარმატებით იასპარეზებენ მსოფლიო ჩემპიონატზეც, რომელიც გაისად ივლისში გაიმართება.

ინტერნეტიდან

## გულშემატკივრები აირჩევენ

**სწორედ უეფას ოფიციალურ საიტზე უნდა აირჩიოს გულშემატკივარმა 2008 წლის რჩეული ფეხბურთელების ნაკრები. ხმის მიცემის შედეგები კი გამოქვეყნდება მომავალი წლის 12 იანვარს.**

თითოეულ პოზიციაზე წამოყენებულია 5-5 კანდიდატი. აი, ისინიც: **მეკარეები:** ვან დერ სარი („მანჩესტერ იუნაიტედი“ძ, კასილიასი („რეალი“ძ, ჩეხი („ჩელსი“ძ, ადლერი



(„ბაიერნი“ძ, აკინფეევი (ცსკაძ, **მარჯვენა მცველები:** ბოსინგვა („ჩელსი“ძ, ანიუკოვი („ზენიტი“ძ, სანია („არსენალი“ძ, სერხიო რამოსი („რეალი“ძ, მაიკონი („ინტერი“ძ, **ცენტრალური მცველები:** კარაგერი („ლივერპული“ძ, ტერი, რიკარდუ კარვალიუ (ორივე „ჩელსი“ძ, კელინი („იუვენტუსი“ძ, ფერდინანდი, ვიდიჩი (ორივე „მანჩესტერ იუნაიტედი“ძ, მარჩენა („ვალენსია“ძ, პეპე („რეალი“ძ, პუიოლი („ბარსელონა“ძ, უიფალუში („ატლეტიკო“ძ, **მარცხენა მცველები:** კაპდევილა („ვილიარეალი“ძ, ლამი („ბავარია“ძ, ევრა („მანჩესტერ იუნაიტედი“ძ, ჟირკოვი (ცსკაძ, ვანბრონიუკჰორსტი („ფეიენოორდი“ძ, **მარჯვენა ნახევარმცველები:** ჰამიტ ალტინტოპი, შვაინშტაიგერი (ორივე „ბავარია“ძ, ჯერარდი („ლივერპული“ძ, კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი“ძ, ძანეტი („ინტერი“ძ, **მარცხენა ნახევარმცველები:** ინიესტა („ბარსელონა“ძ, რიბერი („ბავარია“ძ, რობენი, სნაიდერი (ორივე „რეალი“ძ, დავიდ სილვა („ვალენსია“ძ, **ცენტრალური ნახევარმცველები:** არშავინი („ზენიტი“ძ, ბალაკი, ლამპარდი („ჩელსი“ძ, ფაბრეგასი („არსენალი“ძ, მიდრიჩი („ტოტენჰემი“ძ, **თავდამსხმელები:** ადებაიორი („არსენალი“ძ, აგურო („ატლეტიკო“ძ, ბენზემა („ლიონი“ძ, დელ პიერო („იუვენტუსი“ძ, გუისა („ფენებახჩე“ძ, იბრაგიმოვიჩი („ინტერი“ძ, მესი („ბარსელონა“ძ, რუნი („მანჩესტერ იუნაიტედი“ძ, ფერნანდო ტორესი („ლივერპული“ძ, ვილია („ვალენსია“ძ, **მწვრთნელები:** დიკ ადვოკატი („ზენიტი“ძ, ლუის არაგონესი („ფენეხბახჩე“ძ, ალექს ფერგიუსონი („მანჩესტერ იუნაიტედი“ძ, თემურ ქეცბაია („ანორტოსისი“ძ, ფატიხ ტერიმი (თურქეთის ნაკრებიძ.

## „კარიერის შავი ზოლი დასრულდა“

**ასე განუცხადა ჟურნალისტებს იტალიურ „მილანში“ დაბრუნებულმა უკრაინელმა თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ. „ეჭვი არ მეპარება, რომ შემიძლია ძველ დონეზე დაბრუნება და კიდევ რამდენიმე სეზონის განმავლობაში კარგი თამაშის ჩვენება. რამდენიმე თვეს გაძლიერებით ვვარჯიშობდი. არასოდეს დამიკარგავს ჩემი თავის რწმენა, მაშინაც კი სათადარიგოთა სკამზე რომ მაჩერებდნენ“.**

როგორც შევჩენკომ აღნიშნა, თანდათან იბრუნებს ფორმას. ამას ცხადყოფს იტალიის თასზე „ლაციოს“ კარში გატანილი გოლიც. „ჩელსიში“ ჰქონდა პერიოდი, როდესაც ვერც კი მოძრაობდა, რათა ტკივილი ეგრძნო. როგორც თავად ანდრეი ამბობს, ჰქონდა ისეთი შეგრძნებაც, როცა სხვები თითქოს მანქანებით გადაადგილდებოდნენ, ის კი მოპედით მისდევდა მათ. ამიტომაც არ შეეძლო ყოველივე იმის ჩვენება, რასაც ფლობდა.



შარშან ორი უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა, ახლა კი აღარ აქვს ჯანმრთელობის პრობლემა.

„ამ რამდენიმე თვეში, რაც მე იტალიაში ვარ, დავრწმუნდი, რომ უამრავმა გულშემატკივარმა არ დამივიწყა, — აცხადებს შევჩენკო, — და მეც ყველაფერს გავაკეთებ, რათა მადლობა გადავუხადო მათ. „მილანს“ შეუძლია A სერიაში „ინტერის“ დაწევა, აგრეთვე წლეულს უეფას თასის მოგება“.

## მარათონელების გასახარად

**დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთ ყველაზე დიდებული ბიუსტის პატრონი, მოდელი ქეთი პრაისი თავგანწირული ნაბიჯის გადადგმას აპირებს — მან გადაწყვიტა მომავალი წლის აპრილში ლონდონის ტრადიციულ მარათონში მონაწილეობა.**

ფეხბურთის რამდენიმე ვარსკვლავის „გულისვარდს“ მარათონის მონაწილეთა გახარება უნდა. იმედოვნებენ, რომ ასეთი განცხადების შემდეგ, ორგანიზატორთა აზრით, მნიშვნელოვნად გაიზრდება ისედაც მრავალათეულ ათასიანი მარათონის მონაწილეთა რიცხვი, რადგან ყველას მოუნდება ლამაზმანის სირბილით აქოთქოთებული მშვენიერი მკერდის ხილვა. თუმცა ქალიშვილის გეგმაში არაა გაშიშვლება და ისე სირბილი, თორემ ლონდონის ქუჩები ვეღარ დაიტევდა ამდენ მარათონელს.



„ჩემთვის მთავარი გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა, — განაცხადა „გულმკერდსავსე ახალგზდა მარათონელმა, — რასაკვირველია, მინდა ფინიშამდე მირბენა!“

## ◉ ჟირი დანახული სჯობს

**ერთხელ ქუთაისიდან მოვდიოდით. რიკოთის გვირაბამდე არ ვიყავით მისული, რომ მოულოდნელად ბენზინი გაუთავდა ჩვენს ავტოს. ახლომახლო ბენზინგასამართი სადგური არსად იყო.** მეგობარი მძღოლი საყვედურებით ავავსეთ უგერგილობისთვის და ხელში „კანისტრით“ დაველოდეთ ვინმე ქველმოქმედს, რომელიც თუნდაც ერთ-ორ ლიტრ საწვავს „გვასესხებდა“. კარგა ხნის ლოდაგარჩინეთო, სამარშრუტო ტაქსებში 50 თეთრის გადახდის ნაცვლად 20 თეთრად იმგზარეთო ამიერიდან, სამარშრუტო ტაქსებს კი ფრთებს „შევუკვეცავთო“! გაიხარა უბრალო ხალხმა (ერთ-ერთი გაზეთის ციტატით თუ ვიტყვით, „დაბალმა ფენამ“), მაგრამ ორიოდე თვე (თუ, მხოლოდ ერთი თვე) იარეს 20 თეთრად ყვითელმა ავტობუსებმა! მართალია, მოეწყო „სამკუთხედი“, სამარშრუტო ტაქსებს მოძრაობა აეკრძალა თავიანთი დახმარება შემოგვთავაზეს... გზა განვაგრძეთ და მადლიერებით აღვსილთ გვეამაყებოდა, რომ ასეთ კარგ ქვეყანაში ვცხოვრობდით!



# პატრული კი ამაყად დასრიალებს!

ლება. არადა, იყო დრო, როდესაც ქვეყანაში კონტროლდებოდა სატრანსპორტო საშუალებები, ამოწმებდნენ ბენზინის ხარისხს, ძრავის გამართულობას... თუ საზღვარგარეთისკენ გავიხედავთ იქ საქალაქო ტრანსპორტის მძღოლები კომბინეზონებში ემსახურებიან მგზავრებს და გამართულ მანქანებს გამონაბოლქვიც ნაკლები აქვთ! ჩვენთან კი, — სავალალო მაგალითად მრავალთა შორის მხოლოდ ერთ-ერთ მარშრუტს დავასახელებ: — ვაზისუბანში, ყრმა კოლაელთა სახელობის ეკლესიის გვერდით ჩერდება ლილოს ბაზრობისკენ მიმავალი „მარშრუტკები“. მე არაფერს ვიტყვი მათზე — მოვიდეს პატრული და თვითონ ნახოს, შეიძლება თუ არა ასეთი ავტობუსებით მგზავრობა?! სხვა უბნისას სხვები იტყვიან! მაგრამ ვინც რა უნდა თქვას, თუ, პატრულში დარეკავ და შეატყობინებ, იქიდან „მოკრძალებით“ და კატეგორიულობით გიპასუხებენ, — „თუ პირზე დაადგებით, გამოვაგზავნით „ეკიპაჟს“, არადა...

არადა, რაში სჭირდება „პირზე დადგომა“ დარყეულ, დაშლის პირას მდგარ „არაბას“? მაგრამ საქმე ის არის, რომ ერთ დროს ნაქებ პატრულს დაავიწყდა თავისი ძირითადი მოვალეობა, — კონტროლი გაუწიონ მოძრაობის წესების დაცვას, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობას თუ გაუმართაობას, მძღოლთა ესთეტიკურ და ეთიკურ ნორმებს, და, საერთოდ, ქუჩას! ქუჩა კი, მათი უყურადღებობითა და თავხედი მძღოლების გამოისობით საშინლად გადატვირთულია. კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილში, ე. წ. ტროტუარებზე, — ფეშენებელურ ავტოებს გადაუკეტიათ ფეხით მოსიარულეთა „ფართი“ და ადამიანები ძლივძლივობით იკვლევენ გზას. აბა, ნახეთ მელიქიშვილი, ალმაშენებელი, მარჯანიშვილი და სხვა ქუჩები! პატრული კი ამაყად დასრიალებს ტრასებზე და ქუჩა-ფოლორცებში, ეტყობა, ნაკლებად აწუხებთ თქვენი და ჩვენი გასაჭირი!

დინის შემდეგ პატრულის ეკიპაჟი მოგვადგა, ახალგაზრდა ფორმიანები გადმოვიდნენ მანქანიდან და თავიანთი დახმარება შემოგვთავაზეს... გზა განვაგრძეთ და მადლიერებით აღვსილთ გვეამაყებოდა, რომ ასეთ კარგ ქვეყანაში ვცხოვრობდით!

ეს იყო ამ ერთი წლის წინათ!.. მაგრამ...

თუ თვალსა და ყურს დავძაბავთ (თუმცა, დაუძაბავადაც!) ჩვენს დედაქალაქში უამრავ ისეთ პრობლემას აღმოვაჩენთ, რომელსაც არავინ აქცევს ყურადღებას! ამ მცირე საგაზეთო წერილის თემებიც შეიძლება ვინმეს მეორეხარისხოვან პრობლემად მოეჩვენოს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, შევატყობთ, რომ არც ისე უმნიშვნელო გახლავთ ჩვენი ყოველდღიურობისთვის.

ეს არის — სამარშრუტო ტაქსები, „პარკინგები“ და პატრული!

გახსოვთ, ალბათ, ქალაქის თავებმა, ამ ორიოდე წლის წინათ, რა ზარზეიმითა და პომპეზურობით „ჩამოიყვანეს“ ვილაცის გამონაცვალი ყვითელი ავტობუსები და „გაახარეს“ ხალხი — აი, გაძალათ ვაკეში (?!!) და ა. შ., მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და...

20-თეთრიანი ავტობუსები 40 თეთრი გახდა, სამარშრუტო ტაქსებმა კვლავ „გაიჯეჯილეს“, ზენიტს მიაღწია ამ ბიზნესმა და დედაქალაქში (და არა მარტო დედაქალაქში) ამ სატრანსპორტო საშულებებისთვის არ არსებობს წესი და რიგი, არის ურთიერთ გადასწრება, „ჯირითი“, შუა ქუჩაში გაჩერება და მგზავრთა ასვლა-ჩამოსვლა, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება, ავტოსაგზაო შემთხვევები და ა. შ. საჭეს უსხედან გაუპარსავი, ჭუჭყიანი მძღოლები, აბოლებენ სიგარეტს, უხეშობენ და დაურიდებლად აყენებენ უწმაწურობათა კორიანტელს (ზოგიერთ პატივცემულ მძღოლს ბოდიშს ვუხდით, მაგრამ ასეთები იშვიათად არიან!); ყოველ ორ წამში ერთხელ უხდებათ ამისი „ატანა“ მგზავრებს (რადგან „მარშრუტკების“ მოძრაობის ინტერვალი სწორედ 2 წამს არ აღემატება); მძღოლებს არა აქვთ სათანადო პროფესიონალიზმი, მანქანები სრულიად გაუმართავია და მოძრაობის წესებს არავინ ემორჩილება. არადა, იყო დრო, როდესაც...

ზაურ ფიფია

## ◉ ტრაგედია

# 19 წლის გოგონაც გარდაიცვალა!



**გლდანის „ა“ მიკრორაიონის №63 კორპუსთან სამაშველო სამუშაოები გუშინაც გრძელდებოდა.**

როგორც საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა თემურ გიორგაძემ განაცხადა, მაშველები ნანგრევებში კიდევ ერთ ადამიანს ეძებდნენ.

ნანგრევებიდან სულ ხუთი ადამიანია ამოყვანილი. 60 წელზე მეტი ასაკის ქალბატონი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

19 წლის სტუდენტი გოგონა კი, რომლის ნანგრევებიდან ამოყვანაც მოხერხდა, საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

გლდანის „ა“ მიკრორაიონის №63 კორპუსის მიშენება 9 დეკემბერს, დაახლოებით, 15 საათზე ჩამოინგრა.

არსებული ინფორმაციით, უბედურმა შემთხვევამ ოთხი ადამიანი იმსხვერპლა.

ინტერპრესნიუსი



**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ჟურნალისტი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი**

**მაყვალა ოქროპირიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---



**დედა გოგუცა, შვილი მიხეილ გიორგაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მურმან გერმანეს ძე გიორგაძე**

**პანაშვიდი 11, 12 XII, 16 სთ. ჭავჭავაძის პროსპექტი №16, IV სადარბაზო, ბინა 81. გამოსვენება 13 XII, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.**

---

**ვახტანგ ცხადაძე, ჯემალ ზამბახიძე, ვახტანგ ლომაძე, ბიჭი დადიანი, ზურაბ ლომიძე, გურამ თელია, გოგი ცინცაძე, ომარ სიამაშვილი, კაკო შევარდნაძე, ცეზარ შევარდნაძე, რამაზ ყურაშვილი, ვალერი ასათიანი, ჯუმბერ ბერაძე, გია მათეშვილი, გუგა იოსელიანი, ჯემალ კეთილაძე, გიორგი სალუქვაძე ულრმესი მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, შესანიშნავი პიროვნების**

**მურმან გიორგაძის**

**გარდაცვალებას.**

---

**სს „ეგრისის“ და შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კახა და გოგა კილაძეებს მამის**

**ავთანდილ კილაძის**

**გარდაცვალების გამო.**

## ◉ ინფორმაცია

# აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია

**გორის რაიონის სოფელ ფხვენისში პატრულირებისას ქართველი სამართალდამცველების ავტომანქანა ნაღმზე აფეთქდა.**



ამის შესახებ შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა განაცხადა. მისივე ინფორმაციით, აფეთქება გუშინ დილის 06:00 საათზე მოხდა.

— სოფელი ფხვენისი ცხინვალს ესაზღვრება და, როგორც ჩანს, ეს ტერიტორია ოსურმა მხარემ დანაღმა. აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა, მხოლოდ ავტომობილი დაზიანდა, — განაცხადა ვლადიმერ ჯუღელმა.

შემთხვევის ადგილზე ევროკავშირის დამკვირვებლებიც მივიდნენ.

ინტერპრესნიუსი

# ინფორმაცია

**მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების: „საქართველოს სატელეკომუნიკაციო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების კორპორაციის“, „საქართველოს ნავთობპროდუქტების“, „სარედაქციო გამომცემლობების“, „მართვის კომპიუტერული ცენტრის“, „ტრანსტექნოტესტის“, „ტურისტრემმშენის“, „სპეცრემდიზაინის“, „მშენებელი-21“, და „რიყეს“ შერწყმა. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ.**

**მისამართი: ჭანტურიას №12, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 4 სართული, „საწარმოთა მართვის სააგენტო“.**

**ტელ: 93-44-61, 93-18-03.**

# შპს სამკურნალო პროფილაქტორული ცენტრი „სიცოცხლე“ აცხადებს კომერციულ კონკურსს ფართების იჯარით გაცემის მიზნით

**კონკურსზე იჯარით გაიცემა:**

1. ფართი 11 კვ.მ
2. ფართი 5 კვ.მ
3. ფართი 13 კვ.მ

**საიჯარო პირობები:**

ა) იჯარის ვადა ორი წელი.

ბ) მოიჯარე ყოველთვიურად გადაიხდის საიჯარო ქირას, რაც შეადგენს:

11 კვ.მ ფართი — 1300 ლარს (ერთიათას სამასი)

5 კვ.მ ფართი — 400 ლარს (ოთხასი)

13 კვ.მ ფართი — 700 ლარს (შვიდასი)

გ) მოიჯარე ასევე იხდის ხარჯებს სარემონტო სამუშაოებისათვის (ექვს თვეში ერთხელ), ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებს მოხმარებული რესურსებისა და დაკავებული ფართის ოდენობით.

დ) საწარმოს პრივატიზაციის შემთხვევაში საწარმოს მფლობელი უფლებამოსილია შეწყვიტოს აღნიშნული ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულება), ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გარეშე.

ე) დირექტორი იტოვებს უფლებას გადახედოს ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ვალუტის (ლარის) ინფლაცია გადააჭარბებს 10-პროცენტიან ნიშნულს.

**კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა:**

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს და გადაიხდის მაქსიმალურ საიჯარო ქირას.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

— განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესახებ.

— კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ.

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

— იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

საკონკურსო კომისიის ზონაგრაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

**საკონკურსო კომისიის მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №10, შპს ს.პ.ც. „სიცოცხლე“.**

**ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

**ტელ: 56-37-11.**

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 15 საათამდე. კონკურსი ჩატარდება განაცხადების მიღების დამთავრების მომდევნო დღეს 15 საათზე.

**შპს სამკურნალო პროფილაქტორული ცენტრი „სიცოცხლე“**

◎ გულისტკივილი

## არც ერთი წუთი... უსიგარეტოდ(?!)

**„თუ ჩაგივლიათ სირაჯხანისკენ“... სირაჯხანისკენ არა, მაგრამ ოპერისა და ბალეტის თეატრს რომ ჩავუარე ავტობუსით, ჩემი ყურადღება ბუბა კიკაბიძის ვეებერთელა პორტრეტმა მიიპყრო მსახიობის პირში გაჩრილი სიგარეტით.**

ბუბა ჩემი საყვარელი მომღერალიცაა, ისე როგორც სხვათა ათასთა, და მით უფრო მატკინა გული იმ „სარეკლამო“ სიგარეტმა (სხვათა შორის, ისე კარგადაა ჩახატული, რომ წინ გამოშვერილი გეგონებაძ: წუთუ არ შეიძლებოდა პოპულარული ხელოვანის პორტრეტის გამოფენა თეატრის ფასადზე უსიგარეტოდ? ჩვენს არაერთ მოზარდსა და ახალგაზრდას, „ჩემი დედა“ და „ჩემი დედა“-სკენ თუ სხვა სიგლახისკენ მიდრეკილს, ასეთი „პროპაგანდისტული“ მაგალითი და ერთი ანეკდოტისა არ იყოს, „გუნათე, გუნათე, ისე ვერ ხედავს“ სჭირდება?..

აქვე სათქმელად (შემთხვევით ვსარგებლობძ – კიდევ ერთი ხელოვანი, მსოფლიო სახელის თეატრალური რეჟისორი რობერტ სტურუა ტელეკადრში უსიგარეტოდ არ ჩნდება. არ შეიძლება იმ რამდენიმე წუთს, ტელეკამერის წინ სანამაა, „პირი შეიკავოს“?

...მართალია, ახლა უსიგარეტოდ მზეც არ მოდის ამ ქვეყანაზე – საქართველოში – მაგრამ შევნიშნავ: ქართულ პრესასაც ვკითხულობ (ზოგიერთისგან განსხვავებითძ და საზღვარგარეთულსაც და ვიცი, რომ უცხოეთში (გინდ ჩვენი სათაყვანო ევროპა იყოს, გინდა არანაკლებ სათაყვანო ამერიკაძ სულ უფრო მეტი სახელმწიფო მიმართავს ალმკვეთ ღონისძიებებს სიგარეტის წევის წინააღმდეგ. „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები“. ჩვენო ლამაზო გოგონებო და ქალიშვილებო, ასე მასობრივად რომ გადასულხართ ბოლებაზე, მომავალ დედობას ნიკოტინით მოწამლული ორგანიზმი უნდა დაახვედროთ? ხელისუფალნი რომ ამდენს „გვაბოლებენ“ ის არა კმარა?..

...ისე, ერთი ცუღლუტური ფიქრი გამიჩნდა: ბუბას იმ პორტრეტის ქვეშ საფერფლე ხომ არ მიმეტანა და დამედო?..

**თამაზ ეზანოიძე**

◎ ინფორმაცია

## ჩვენს ტყეებს ხანძარი შეეჩვია

**ყვარლის ტყის მასივში ხანძარი გაჩნდა. ხანძრის ლოკალიზება ძლიერი ნისლის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა.**

გუშინ დილიდან კი, ცეცხლის ჩაქრობას სატყეო დეპარტამენტის, რაიონის გამგეობისა და მოსახლეობისგან შემდგარი ჯგუფი ცდილობდა. ცეცხლი, დაახლოებით, 2-3 ჰექტარზე ხმელ ფოთოლს ეკიდა.

როგორც ყვარლის რაიონის გამგებელმა ლევან გამსახურდიამ განაცხადა, ტყის ფართობზე დანარჩენ ხანძრის გავრცელების საფრთხე არ არსებობს.

ყვარლის რაიონში წვიმაც დაიწყო და იმედოვნებენ, რომ ცეცხლის ლოკალიზებას ხელი შეუწყო.

**ინტერპრესნიუსი**

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 13 დეკემბერს

## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



### თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, **„საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათიძ წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! – შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე – 37.47.49; 25.33.88; საქპრესა – 93.30.40; ექსპრესი – 93.66.78; უწყებანი – 93.64.72; ინფოსერვისი – 95.48.82; რუბიკონი – 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე – 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით – 60 ლარი, ერთი წლით – 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია – 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◎ კადრი



◎ ანეკდოტები

ქალმა გაახალგაზრდავება გადაწყვიტა და რჩევისთვის მკითხავს მიაკითხა.

– ქალაქის ცენტრალური მოედნის კოშკზე აძვერი და საათის ისრები უკან დაატრიალე, რამდენი საათითაც დაატრიალებ უკან , იმდენი წლით გაახალგაზრდავდები, – უთხრა მკითხავმა.

ქალს დაეზარა კოშკზე აძრომა და ქმარს სთხოვა ამის გაკეთება, თან უთხრა, რისთვისაც სჭირდებოდა.



ქმარი აძვრა და დაიწყო საათის ისრების უკან დატრიალება, ატრიალებს, ატრიალებს...

– გეყოფა, საკმარისია, ჩამოდი! – ესმის ქვევიდან ცოლის ბავშვური ხმა.

– არა!.. მანამ არ გავჩერდები, სანამ უკან არ შეგაბრუნებ და დედაშენს აბორტს არ გავაკეთებინებ.

* * *

ორი პენსიონერი მამაკაცი პარკში ზის და საუბრობს. გვერდით 17-18 წლის ძალიან მოკლეკაბიანმა გოგომ ჩაირბინა.

– ეჰ, მეც რომ 18 წლისა ვიყო! – ამოიხვნეშა ერთმა პენსიონერმა.

– რას ამბობ, კაცო, გაგიჟდი?! რაღაც 5 წუთის სიამოვნების გულისთვის კიდევ 40 წელიწადი უნდა იმუშაო?.. – ეუბნება მეორე.

* * *

პირველი საქორწინო ღამის შემდეგ...

– ძვირფასო, – ამბობს ქმარი, – მე მივხვდი, რომ შენთვის პირველი არ ვყოფილვარ...

– მეც მივხვდი, – სიგარეტს აბოლებს ცოლი, – რომ არც უკანასკნელი ხარ...

* * *

– მამი, როგორ გაიცანით ერთმანეთი შენ და დედაჩემმა?

– სიმართლე თუ გინდა, თავდაპირველად არც ვაპირებდით გაცნობას, მერე კი მოვიდა დედაშენი და მითხრა, – „არ არის ერთმანეთის გაცნობის დრო? მალე ხომ მამა გახდები“.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.